პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 30 ივნისი, 1944 წ. № 131 (7075). ფასი 20 კაპ.

წითელმა არმიამ გერმანელ-ფინელ დამპყრობთაგან გაათავისუფლა კარელო-ფინეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი პეტროზავოდსკი.

ბელორუსიაში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს დიდი საოლქო ცენტრი ქალაქი მოგილიოვი, ქალაქები ბობრუისკი, შკლოვი, ბიხოვი, ოსიპოვიჩი, ხოლოპენიჩი, კრუპკი, კლიჩევი, სტარიე დოროგი, უშაჩი, ბელინიჩი და ასობით დასახლებული პუნქტები.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს **დნეპრი** 120 კილომეტრი სიგრძის უბანზე, გაარღვიეს გერმანელთა მეორე თავდაცვითი ზოლი, რომელიც მომზადებული იყო მდინარის დასავლეთ ნაპირზე, და დღეს, 28 ივნისს, იერიშით დაიკავეს ბელორუსიის დიდი საოლქო ცენტრი — ქალაქი **მოგილიოვი** — გერმანელთა თავდაცვის ოპერატიულად მნიშვნელოვანი კვანძი მინსკის მიმართულებით, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები **შკლოვი** და **ბიხოვი**.

ბრძოლებში **დნეპრის** გადალახვისას და ქალაქების **მოგილიოვის**, **შკლოვისა** და **ბიხოვის** დაკავებისას თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბოლდინის**, გენერალ-ლეიტენანტ **გრიშინის**, გენერალ-ლეიტენანტ **კრიუჩენკინის**, გენერალ-მაიორ **მულტანის**, გენერალ-მაიორ **ზახაროვის**, გენერალ-მაიორ **ტერენტიევის**, გენერალ-მაიორ **ნაუმოვის**, გენერალ-მაიორ **სმირნოვის**, გენერალ-მაიორ **იაკიმოვიჩის**, პოლკოვნიკ **შჩენიკოვის**, პოლკოვნიკ **კოლესნიკოვის**, პოლკოვნიკ **დრუჟინინის**, პოლკოვნიკ **იურინის**, პოლკოვნიკ **სლიცის**, პოლკოვნიკ **არტემიევის**, გენერალ-მაიორ **კონონენკოს**, გენერალ-მაიორ **გასპარიანის**, გენერალ-მაიორ **სკრილევის**, პოლკოვნიკ **გალაიკოს**, გენერალ-მაიორ **კრასნოშტანოვის**, გენერალ-მაიორ **კირილოვის**, პოლკოვნიკ **გუსევის**, პოლკოვნიკ **სუპრუნოვის**, გენერალ-მაიორ **კუსტოვის**, გენერალ-მაიორ **სამარსკის**, პოლკოვნიკ **კაზაკის**, გენერალ-მაიორ **დოლმატოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **სოკოლსკის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ბოდროვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **დეგტიარევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კარეპინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **რაზინცევის**, პოლკოვნიკ **მიხნოს**, პოლკოვნიკ **ერშოვის**, პოლკოვნიკ **კასიანოვის**, პოლკოვნიკ **ჩერნობაევის**, პოლკოვნიკ **კორნიშევის**, პოლკოვნიკ **ზიაბლიკოვის**, პოლკოვნიკ **ბრიზგალინის**, პოლკოვნიკ **მალოფეევის**, პოლკოვნიკ **უშაკოვის**, პოლკოვნიკ **კულევის**, პოლკოვნიკ **ხოკოლენკოს**, პოლკოვნიკ **კოროლევის**, პოლკოვნიკ **ტურჩანინოვის**, პოდპოლკოვნიკ **ზერნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ვოიცეხოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **ახტირჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კისელევის**, პოდპოლკოვნიკ **ვარშავსკის**, პოდპოლკოვნიკ **რუსეცკის**, პოდპოლკოვნიკ **ვერზენევის**, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის**, პოდპოლკოვნიკ **ბაბიჩის**, პოდპოლკოვნიკ **გლესინის**, პოდპოლკოვნიკ **ერემენკოს**, პოდპოლკოვნიკ **პენტიაშკინის**, პოლკოვნიკ **კამინსკის**, პოლკოვნიკ **შკურატოვის** არტილერისტებმა; პოლკოვნიკ **ერშოვის**, პოლკოვნიკ **კოტოვის**, პოლკოვნიკ **ლუკაშევის**, პოლკოვნიკ **ტულოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **ტატარენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კოპილოვის**, მაიორ **სეგედინის**, მაიორ **სამოილკინის**, მაიორ **გაევსკის**, პოლკოვნიკ **ნიკოლაევის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ვერშინინის**, პოლკოვნიკ **ვოლკოვის**, მაიორ **მაქსიმენკოს**, მაიორ **რუბცოვის**, მაიორ **არბატოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოლომინის**, მაიორ **კოტრუხას**, პოდპოლკოვნიკ **ბერშანსკაიას**, პოდპოლკოვნიკ **ერმილოვის**, პოდპოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **გეტმანის**, პოლკოვნიკ **ვუსის**, პოდპოლკოვნიკ **პოკაევას**, პოდპოლკოვნიკ **ელისეევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ბორძილოვსკის**, პოლკოვნიკ **მელნიკოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **დერგუნოვის**, პოლკოვნიკ **ლოგინოვის**, პოლკოვნიკ **ვიზიროვის**, პოდპოლკოვნიკ **გუსევის**, მაიორ **სმიულიაევის**, მაიორ **კანარჩიკის** მესანგრეებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **ბორზოვის**, პოდპოლკოვნიკ **კორბუტის**, პოდპოლკოვნიკ **ჩირკინის**, მაიორ **შაპოვალოვის**, კაპიტან **გლუშკოვის**, კაპიტან **ვაინრუბის**, კაპიტან **ბორისოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში **დნეპრის** გადალახვისას და ქალაქების **მოგილიოვის**, **შკლოვისა** და **ბიხოვის** დაკავებისას, წარდგენილ იქნან „**ვერხნედნეპროვსკის**“, „**მოგილიოვის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 ივნისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გადალახეს **დნეპრი** და დაიკავეს ქალაქები **მოგილიოვი**, **შკლოვი** და **ბიხოვი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში **დნეპრის** გადალახვისას და ქალაქების **მოგილიოვის**, **შკლოვის**, **ბიხოვის** განთავისუფლებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 28 ივნისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ავითარებენ სწრაფ შეტევას, დღეს, 28 ივნისს, ღრმა შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი **ოსიპოვიჩი**, რითაც დაამთავრეს გერმანელთა ჯარების ბობრუისკის ჯგუფის გარშემორტყმა.

ოსიპოვიჩის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბატოვის**, გენერალ-მაიორ **ივანოვის**, გენერალ-მაიორ **ალექსეევის**, გენერალ-მაიორ **სანკოვსკის**, პოლკოვნიკ **მოროზოვის** ჯარებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პანოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **რუდენკოს** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **ოსიპოვიჩის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 ივნისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **ოსიპოვიჩი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ **ოსიპოვიჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 28 ივნისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მერეცკოვს

კარელიის ფრონტის ჯარებმა, გარემოცვისათვის ღრმა მანევრისა და ონეგის ტბის დასავლეთ სანაპიროზე დესანტის გადასხმის შედეგად გერმანელ-ფინელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი **პეტროზავოდსკი**, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **კონდოპოგა** და ამით მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს კიროვის (მურმანსკის) რკინიგზა მთელ მის სიგრძეზე.

პეტროზავოდსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს 1-ლი რანგის კაპიტან **ანტონოვის**, მე-2 რანგის კაპიტან **კროხინის**, კაპიტან-ლეიტენანტ **ელნიკოვის**, მე-3 რანგის კაპიტან **ნიკულინის**, კაპიტან **მოლჩანოვის** მეზღვაურებმა; გენერალ-ლეიტენანტ **გორელენკოს**, გენერალ-მაიორ **სოპენკოს**, პოლკოვნიკ **ციგანკოვის**, პოლკოვნიკ **ალექსეევის**, პოდპოლკოვნიკ **პილშჩიკოვის** ჯარებმა; პოლკოვნიკ **გლოტოვის** არტილერისტებმა; პოლკოვნიკ **ივანჩიხინის** მესანგრეებმა და მე-2 რანგის კაპიტან **როჟდესტვენსკის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **პეტროზავოდსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**პეტროზავოდსკის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 ივნისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქი — **პეტროზავოდსკი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ **პეტროზავოდსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ-ფინელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 29 ივნისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გასტეხეს ბობრუისკის გერმანელთა ჯარების გარშემორტყმული ჯგუფის წინააღმდეგობა და დღეს, 29 ივნისს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური **ბობრუისკი** — გერმანელთა კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავდა **მინსკისა** და **ბარანოვიჩის** მიმართულებებს.

ქალაქ **ბობრუისკის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გორბატოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **რომანენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ბატოვის**, გენერალ-მაიორ **ურბანოვიჩის**, გენერალ-მაიორ **ალექსეევის**, გენერალ-მაიორ **ტერემოვის**, გენერალ-მაიორ **გრიგორიევსკის**, გენერალ-მაიორ **მოზინის**, გენერალ-მაიორ **ჟაბრევის**, გენერალ-მაიორ **მაკაროვის**, პოლკოვნიკ **პოგრებნიაკის**, პოლკოვნიკ **მასონოვის**, პოლკოვნიკ **ლუკინის**, პოლკოვნიკ **ვდოვინის**, გენერალ-მაიორ **გორიშნის**, პოლკოვნიკ **ვოლკოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **კაზაკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბესკინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **შამშინის**, პოდპოლკოვნიკ **გონჩარუკის**, პოლკოვნიკ **აკიმუშკინის**, პოლკოვნიკ **ოლეინიკის**, ინჟინერ-პოლკოვნიკ **მერკულოვის**, პოდპოლკოვნიკ **ორლოვის**, პოდპოლკოვნიკ **ოსტრეიკოს**, პოლკოვნიკ **ცარიოვის**, მაიორ **პალგოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბახაროვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ფილიპოვის**, პოლკოვნიკ **კუზნეცოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბარანიუკის**, პოდპოლკოვნიკ **ტრუშკინის**, პოლკოვნიკ **შულგინის**, პოლკოვნიკ **კოჟანოვის**, პოდპოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **რიჟანოვის**, პოლკოვნიკ **ბალიკოვის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის**, პოლკოვნიკ **ტიდემანის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **რუდენკოს**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ოსიპენკოს**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კარავატსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კრუპსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კომაროვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ბაიდუკოვის**, პოლკოვნიკ **ბორისენკოს**, პოლკოვნიკ **ჩირვას** მფრინავებმა; 1-ლი რანგის კაპიტან **გრიგორიევის**, მე-2 რანგის კაპიტან **ლიალკოს**, მე-3 რანგის კაპიტან **პესკოვის** მეზღვაურებმა; პოლკოვნიკ **გაბერის**, პოლკოვნიკ **პრუსის** მესანგრეებმა და პოდპოლკოვნიკ **შუკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ბობრუისკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ბობრუისკის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 ივნისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ბობრუისკი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ **ბობრუისკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 29 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
არმიის გენერალ კ. კ. როკოსოვსკისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალ კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1944 წლის 29 ივნისი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბატონმა ვ. ა. ჰარიმანმა პრეზიდენტ რუზველტის საპატიო სიგელები გადასცა ამხანაგ ი. ბ სტალინს სტალინგრადისა და ლენინგრადისათვის

26 ივნისს კრემლში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ვ. ა. ჰარიმანმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს გადასცა პრეზიდენტ რუზველტის საპატიო სიგელები ქალაქ სტალინგრადისა და ქალაქ ლენინგრადისათვის გადასაცემად ამ ქალაქების გმირული დაცვის აღსანიშნავად. სიგელები ხელმოწერილია ბ-ნ რუზველტის მიერ შეერთებული შტატების ხალხის სახელით.

საპატიო სიგელების გადაცემას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ფრანკლინ დ. რუზველტის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელზე

ჩემო ძვირფასო მარშალო სტალინ,

გიგზავნით ორ სიგელს სტალინგრადისა და ლენინგრადისათვის — იმ ქალაქებისათვის, რომლებმაც ამერიკელი ხალხის გულწრფელი აღტაცება მოიპოვეს. ამ ორი ქალაქის მოქალაქეებისა და მეომრების გმირობამ, რომლებიც ასე უნარიანად იცავდნენ მათ, არა მარტო აღაფრთოვანა შეერთებული შტატების ხალხი, არამედ დაგვეხმარა კიდევ უფრო მეტად გაგვემტკიცებინა ჩვენი ორი ხალხის მეგობრობა. სტალინგრადი და ლენინგრადი გახდნენ სინონიმები სულის ძლიერებისა და სიმტკიცისა, რომლებმაც საშუალება მოგვცეს წინააღმდეგობა გაგვეწია და რომლებიც საბოლოო ანგარიშით საშუალებას მოგვცემენ დავძლიოთ ჩვენი მტრების აგრესია.

იმედი მაქვს, რომ ამ სიგელების ამ ორი ქალაქისათვის ჩაბარებისას თქვენ შესაძლოდ ჩასთვლით გადასცეთ მის მოქალაქეებს ჩემი პირადი მეგობრობისა და აღტაცების გრძნობები და ჩემი იმედი, რომ ჩვენი ადამიანები შემდგომშიც განავითარებენ იმ ღრმა ურთიერთგაგებას, რომლითაც აღნიშნულია ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი.

გულწრფელად თქვენი **ფრანკლინ დ. რუზველტი.**

1944 წ. 25 მაისი.
თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

სიგელი სტალინგრადისადმი

ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის სახელით ამ სიგელს ვაძლევ ქალაქ სტალინგრადს, რათა აღვნიშნო ჩვენი აღტაცება მისი მამაცი დამცველებით, რომელთა სიმამაცე, სულის ძლიერება და თავდადება ალყის განმავლობაში 1942 წლის 13 სექტემბრიდან 1943 წლის 31 იანვრამდე მარადის აღაფრთოვანებენ ყველა თავისუფალი ადამიანის გულს. მათმა სახელოვანმა გამარჯვებამ შეაჩერა შემოსევის ტალღა და აგრესიის ძალთა წინააღმდეგ მოკავშირე ერების ომის შემობრუნების პუნქტი გახდა.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

1944 წ. 17 მაისი, ვაშინგტონი.

სიგელი ლენინგრადისადმი

ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის სახელით ამ სიგელს ვაძლევ ქალაქ ლენინგრადს მისი მამაცი მეომრების და მისი ერთგული მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების სამახსოვროდ, რომლებიც, დამპყრობლის მიერ იზოლირებული იყვნენ თავისი ხალხის დანარჩენი ნაწილისაგან და, მიუხედავად მუდმივი დაბომბვისა და სიცივით, შიმშილით და ავადმყოფობით გამოწვეული გამოუთქმელი ტანჯვისა, წარმატებით იცავდნენ თავიანთ საყვარელ ქალაქს კრიზისული პერიოდის განმავლობაში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1943 წლის 18 იანვრამდე და ამით გამოხატავდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა და მსოფლიოს ყველა ხალხთა სულის სიმტკიცეს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აგრესიის ძალებს.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

1944 წ. 17 მაისი, ვაშინგტონი.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის განცხადება მისთვის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბ-ნ ჰარიმანის მიერ პრეზიდენტ რუზველტის სიგელების გადაცემისას

მე ვიღებ პრეზიდენტ რუზველტის სიგელებს, როგორც სიმბოლოს ჩვენი სახელმწიფოების ნაყოფიერი თანამშრომლობისას, რაც ხორციელდება ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და კაცობრიობის პროგრესისათვის.

სიგელები გადაეცემა ლენინგრადისა და სტალინგრადის წარმომადგენლებს.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სამკერდე ნიშან „სსრ კავშირის საპატიო დონორის“ დამტკიცების შესახებ

იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნან დონორები, რომელნიც სისხლს იძლევიან წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლთა და ოფიცერთა და სამოქალაქო მოსახლეობის გადასარჩენად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დონორთათვის ნიმუში სამკერდე ნიშნისა „სსრ კავშირის საპატიო დონორი“.
2. დამტკიცდეს დებულება „სსრ კავშირის საპატიო დონორის“ სამკერდე ნიშნისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 24 ივნისი.

დებულება
„სსრ კავშირის საპატიო დონორის“ სამკერდე ნიშნისა

1. „სსრ კავშირის საპატიო დონორის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან ის პირნი, რომელთაც მრავალგზის მიუციათ თავიანთი სისხლი წითელი არმიის მებრძოლთა და ოფიცერთა და სამოქალაქო მოსახლეობის გადასარჩენად და ამავე დროს მუშაობას ეწევიან, რათა დონორების რიგებში ჩააბან მოსახლეობა.

2. „სსრ კავშირის საპატიო დონორის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებას აწარმოებს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და სატრანსპორტო კომიტეტთა წარდგენით, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისრების, ჯანმრთელობის დაცვის სამხარეო და საოლქო განყოფილებათა წარდგენით.

3. „სსრ კავშირის საპატიო დონორის“ ნიშანს ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეზე, სსრ კავშირის ორდენებს ქვემოთ.

დაიწყო მზადება ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა მითითება მისცა ადგილებს ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღის ჩასატარებლად, რაც გათვალისწინებულია 16 ივლისისათვის.

ამ დღეს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში მასობრივი სასპორტო დღესასწაული მოეწყობა. შესდგება შეჯიბრება ნაციონალური სახის სპორტში, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო და საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სპარტაკიადები.

ბევრ საევაკუაციო ჰოსპიტალში მოეწყობა სასპორტო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გამომჯობინებული მებრძოლები და ოფიცრები.

ახლა ფიზკულტურელის დღისათვის მზადება მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო (საკდესი).

იჟორის ქარხანაში პირველი მარტენი აამუშავეს

იჟორის ქარხანაში (ლენინგრადის ოლქი), რომლის აღდგენაც ხდება, 27 ივნისს პირველი მარტენი აამუშავეს. წინადღით ჩაჰყარეს ნაზავი, ღამით გამოუშვეს პირველი ნადნობი.

მარტენის ამუშავებით იწყება აღდგენა ნახევრად განადგურებული ქარხნისა, რომელიც 2 წელზე მეტ ხანს ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე იმყოფებოდა (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ივნისის ოპერატიული ცნობიდან

28 ივნისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალაქ **პოლოცკის** სამხრეთით სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო დაბრკოლებებს ტბებს შუა მდებარე დეფილეებში და ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქ **ლეპელი**, აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის **ჩერჩიცი, კრასნოე, ზარეჩიე, ზემცი, ზამოშიე, სტაროე ლიადნო, ველიკოე პოლე**.

მინსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ავითარებენ წარმატებითს შეტევას, დაიკავეს მინსკის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **ხოლოპენიჩი**, ქალაქი და რკინიგზის სადგური **კრუპკი**, მოგილიოვის ოლქის რაიონული ცენტრი **კრუგლოე**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სტაროსელიე, ლატიგოლიჩი, მოისეევშჩინა, პუპელიჩი, კოსტრიცა** (18 კილომეტრზე **ბორისოვის** ჩრდილო-აღმოსავლეთით), **იგრუშკი, სლავენი, კოხანოვო** და რკინიგზის სადგურები **კოხანოვო, სლავნოე**.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **დნეპრი** 120 კილომეტრი სიგრძის უბანზე, გაარღვიეს გერმანელთა მეორე თავდაცვითი ზოლი, რომელიც მომზადებული იყო მდინარის დასავლეთ ნაპირზე, და იერიშით დაიკავეს ბელორუსიის დიდი საოლქო ცენტრი ქალაქი **მოგილიოვი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს მოგილიოვის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **შკლოვი**, ქალაქი **ბიხოვი** და 450-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პოდკნიაჟიე, ულანოვო, ჩორნოე, ჩერნორუჩიე, დუბროვკა, გრაკოვო, ხენკოვო, გოლინეცი 1-ლი და მე-2, ნოვაია** და **სტარაია ლეჟნევკა, გოვშევი, ლიპოვკა, ხოდუტიჩი, მოკროე** და რკინიგზის სადგურები **კოპისი, შკლოვი, ლოტვა, პოლიკოვსკიე ხუტორა, ბუინიჩი, დაშკოვკა, ბარსუკი, გორკოლაგოვო, იამნიცა, ბიხოვი**.

ქალაქ **მოგილიოვისათვის** ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა მე-12 ქვეითი დივიზია, რომლის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ბამლერი ტყვედ არის წამოყვანილი თავის შტაბიანად. აგრეთვე ტყვედ წამოყვანილია ქალაქ **მოგილიოვის** კომენდანტი გენერალ-მაიორი ერდმანსდორფი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ავითარებენ წარმატებითს შეტევას, დაიკავეს ქალაქი და მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი **ოსიპოვიჩი** და განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის იმ დაჯგუფების მოსასპობად, რომელიც გარშემორტყმულია ქალაქ **ბობრუისკის** რაიონში. შეტევით ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დღის განმავლობაში გაათავისუფლეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მოგილიოვის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **კლიჩევი**, **მინსკის** ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური **სტარიე დოროგი**, დიდი დასახლებული პუნქტები **ჩიგირინკა, ორეხოვკა, ვირკოვი, ბაცევიჩი, სერგეევიჩი, ლიუბონიჩი, სტუპენი, ბერეზინსკი ფორშტადტი, შატკოვო, ტეპლუხა, პროტასევიჩი, კალიუგა, ნოვო-ანდრეევკა, ბარბაროვი, გოზროვიჩი, პორეჩიე** და რკინიგზის სადგურები **ნესეტა, ტაჩენკა, ტელუშა, სავიჩი, ბერეზინა**.

ონეგისა და **ლადოგის** ტბებს შუა ჩვენმა ჯარებმა გადალახეს ფინელთა წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს 35-მდე კილომეტრით და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **შოკშა, ვედა-სელგა, კესკოზერო, ვილალა, გეხკუ-სელგა, სიანდება, ვერხნი კონეცი, კლანგა, გავრილოვო, ვიდლიცა, უსტ-ვიდლიცა**.

ფინეთის ყურეში **ვიბორგის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს კუნძული **ურან-სარი**, ამასთან დაიკავეს ქალაქი, ნავსადგური და რკინიგზის სადგური **ტრონგსუნდი (ურასი)**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

27 ივნისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 109 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 61 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ბარანოვიჩზე, ლუნინეცზე, მინსკზე, პოლოცკზე და რკინიგზის სადგურ ბორისოვზე

ჩვენმა ავიაციამ 27 ივნისს ღამით ძლიერი დარტყმები მიაყენა რკინიგზის კვანძებს ბარანოვიჩს, ლუნინეცს, მინსკს, პოლოცკს და რკინიგზის სადგურ ბორისოვს. თავდასხმის დროს რკინიგზის კვანძებზე და სადგურებში დიდძალი სარკინიგზო ეშელონები იმყოფებოდა.

დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძ ბარანოვიჩში გაჩნდა ხანძრის 23 დიდი კერა და მოხდა რამდენიმე ძლიერი აფეთქება. ხანძრებს ეკიპაჟები ხედავდნენ სამიზნიდან წამოსვლისას 150 კილომეტრ მანძილზე. რკინიგზის კვანძ ლუნინეცში ჩვენმა მფრინავებმა დაამტვრიეს რამდენიმე ეშელონი ჯარებიანად და ტექნიკიანად. კვანძის ტერიტორიაზე გაჩნდა 10 ხანძარი და მოხდა 6 ძლიერი აფეთქება. რკინიგზის კვანძ მინსკში გაჩნდა ხანძრის 13 კერა, იწვოდა ვაგონები და სამხედრო საწყობები. პოლოცკში ხანძარი მოედო კვანძის მთელ ცენტრალურ ნაწილს.

განსაკუთრებით ინტენსიური თავდასხმა ჩვენმა ავიაციამ მოახდინა რკინიგზის სადგურ ბორისოვზე, რომლის ლიანდაგებზე იმყოფებოდა 20-მდე ეშელონი. ბომბების აფეთქება შემჩნეული იყო სადგურის მთელ ტერიტორიაზე. გაჩნდა ხანძრის 15 კერა. მოხდა 16 აფეთქება.

ჩვენი ოთხი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

29 ივნისის ოპერატიული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარებმა, გარემოცვისათვის ღრმა შემოვლითი მანევრისა და **ონეგის** ტბის დასავლეთ სანაპიროზე დესანტის გადასხმის შედეგად, გერმანელ-ფინელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი—ქალაქი **პეტროზავოდსკი**, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **კონდოპოგა** და ამით მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს კიროვის (მურმანსკის) რკინიგზა მთელ მის სიგრძეზე. ფრონტის ჯარებმა განაგრძეს შეტევის განვითარება ქალაქ **მედვეჟიეგორსკის** დასავლეთითა და სამხრეთით, **ონეგისა** და **ლადოგის** ტბებს შუა, და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ევგორა, მე-2 კუმსა, მიანდუსელგა, პალაია ლამბა, ვერხნაია** და **ნიჟნაია დერევიანნაია, აფანასიევა-გორა, პუსკუ-სელგა, ჩიმოილა, კიმუ-სელგა**.

პოლოცკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **უშაჩი, ვეტრინო**, აგრეთვე დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ლისაია, ვალიუშჩინა, ოსტროვლიანე, ტურჩეც 1-ლი** და **მე-2, ვორონეჩი, ორეხოვო, კუგლიჩი** და რკინიგზის სადგური **ვეტრინო**. ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს **პოლოცკ-მოლოდეჩნოს** რკინიგზა.

მინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომელნიც წარმატებითს შეტევას ავითარებდნენ, ბრძოლებით მიადგნენ მდინარე **ბერეზინას** ქალაქ **ბორისოვის** ჩრდილოეთით 60 კილომეტრ სიგრძის უბანზე და ამასთან დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **როჟნო, დომჟერიცი, პერეხოდცი, ბარანი, კრაცევიჩი, ხოლხოლეცი, კიშჩინო-სლობოდა, ბიტჩა, ჟიტკოვო, მლეხოვო, მუჟანკა**.

ქალაქ **მოგილიოვის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც უკან დახეულ მოწინააღმდეგეს სდევნიდნენ, წინ წაიწიეს 35-მდე კილომეტრით და დაიკავეს 500-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მოგილიოვის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ბელინიჩი**, დიდი დასახლებული პუნქტები **ტეტერინი, გოლოვჩინი, ოლეშკოვიჩი, ოსოვეცი, კალინოვკა, ტეხტინი, გოლშიე ბელევიჩი, კოლიჩენკო, ზოლოტვა, გოროდეცი, დოლგოე** და რკინიგზის სადგურები **ვენდრიჟი, სიმუკოვიჩი**.

მთელ რიგ უბნებზე ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **დრუტი**.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 29 ივნისს იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური **ბობრუისკი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სვისლოჩი, ოკტიაბრი, იასენი, დარაგანოვო, მეზოვიჩი, კრინკა, სოლონი, მაკარიჩი, გოსტინო, ზელენკი, ზაბოლოტიე** და რკინიგზის სადგურები **იასენი, ტატარკა, დერევცი, დარაგანოვო**. ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს **ბობრუისკის** რაიონში გარშემორტყმული გერმანელთა დაჯგუფების ლიკვიდაცია. მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციის დროს ჩვენმა ჯარებმა **მოსპეს** 16 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და **ტყვედ წამოიყვანეს** 18 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

28 ივნისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 278 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 71 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა ბარანოვიჩის, ლუნინეცის, მინსკისა და პოლოცკის სარკინიგზო კვანძებს

28 ივნისს ღამით ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა ბარანოვიჩის, ლუნინეცის, მინსკისა და პოლოცკის სარკინიგზო კვანძებზე.

თავდასხმის მომენტში ბარანოვიჩის სარკინიგზო კვანძზე იყო მოწინააღმდეგის ბევრი ეშელონი ჯარებიანად და სამხედრო ტექნიკანად. დაბომბვის შედეგად კვანძის ტერიტორიაზე ხანძრის 15 კერა გაჩნდა. მფრინავებმა დაინახეს, რომ იწვოდა ეშელონები და სამხედრო საწყობები. ლუნინეცის სარკინიგზო კვანძზე იწვოდა სამი ეშელონი.

ჩვენმა ავიაციამ განსაკუთრებით ინტენსიური თავდასხმა მოახდინა მინსკის სარკინიგზო კვანძზე. ხანძარი მოედო კვანძის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. იწვოდა ეშელონები და სამხედრო საწყობები. პოლოცკის სარკინიგზო კვანძზე დაბომბვის შედეგად ხანძრის ექვსი კერა გაჩნდა, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

კარელიის ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას ავითარებდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც წინ მიიწევდნენ სამხრეთისაკენ რკინიგზის გასწვრივ, დაიკავეს ქალაქი კონდოპოგა. სხვა ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ონეგის ტბის გასწვრივ უტევდნენ, დაარტყეს მტერს სამხრეთიდან. ამავე დროს ტბის სანაპიროზე პეტროზავოდსკის ახლოს გადასხმულ იქნა ონეგის სამხედრო ფლოტილიის დესანტი. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი შეტევა განავითარეს და დაიკავეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი ქალაქი პეტროზავოდსკი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია 3.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 32 ქვემეხი, 79 საწყობი საჭურვლიანად, საომარ მასალიანად და სურსათიანად. საბჭოთა მებრძოლებმა 30.000 მშვიდობიანი მცხოვრებნი გაათავისუფლეს, რომლებიც ფინეთის საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებოდნენ ქალაქ პეტროზავოდსკში.

* * *

პოლოცკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ გამოიყენა თავდაცვისათვის მარჯვე ტყიან-ჭაობიანი ადგილი, სადაც უხვად არის ტბები, მდინარეები და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. გააფთრებული ბრძოლები მოხდა მდინარე უშაჩის ზღუდეზე. გერმანელებმა თავდაცვის ზოლი ააგეს აქ და ცდილობდნენ ამ უბანზე შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა. 6 შენაერთის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს ყამირგზების კვანძი და გერმანელთა დასაყრდენი პუნქტი უშაჩი. ჩვენმა მოძრავმა ჯგუფებმა მდინარე გადალახეს, სწრაფად წაიწიეს წინ, გადასჭრეს პოლოცკ-მოლოდეჩნოს რკინიგზა და დაიკავეს ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ვეტრინო.

* * *

მინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები უწესრიგოდ უკანდახეულ მოწინააღმდეგეს კვალდაკვალ სდევნიან და საშუალებას არ აძლევენ მას გამაგრდეს შუალედ ზღუდეებზე. საბჭოთა ტანკისტები და ცხენოსნები მინსკის გზატკეცილზე დაეწიენ გერმანელთა დიდ ავტოკოლონას და გაანადგურეს იგი. რამდენიმე ათეულ კილომეტრ მანძილზე გზა გაჭედილია დამსხვრეული ქვემეხებით, ავტომანქანებითა და ჰიტლერელთა გვამებით. ხელთ ვიგდეთ 2 ათასზე მეტი ავტომანქანა ტვირთიანად.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები სწრაფი იერიშით სამი მხრიდან შეიჭრნენ ბობრუისკში და ქუჩის გააფთრებული ბრძოლების შედეგად გასწმინდეს ქალაქი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. გერმანელთა ჯარებმა, რომელნიც გარშემორტყმული იყვნენ ბობრუისკის რაიონში, გააფთრებით სცადეს „ქვაბიდან" თავის დაღწევა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. საბჭოთა ნაწილების დარტყმების გამო მოწინააღმდეგე უკან იხევდა, ამასთან ათასობით მოკლულ თავის ჯარისკაცსა და ოფიცერს სტოვებდა ბრძოლის ველზე. დღეს ჩვენმა ჯარებმა სრულიად მოსპეს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფება. ტყვედ წამოყვანილია 18 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ დაარტყა კირკენესის ნავსადგურს (ჩრდილოეთი ნორვეგია). ბომბების პირდაპირი მოხვედრების შედეგად ჩაძირულია სამი ტრანსპორტი 20 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. გარდა ამისა, სამი ტრანსპორტი სერიოზულად დაზიანდა. ნავსადგურის ტერიტორიაზე დიდი ხანძრები გაჩნდა და ძლიერი აფეთქებანი მოხდა. ჩვენი თვითმფრინავების სხვა ჯგუფებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე, რომელიც პეტსამოს ნავსადგურში მიდიოდა. ორ ტრანსპორტს ცეცხლი გაუჩნდა. ერთი მათგანი მალე აფეთქდა და ჩაიძირა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

პინსკის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში მტრის 32 ეშელონი გადააგდო ლიანდაგიდან. დაამსხვრა 26 ორთქლმავალი და 150-ზე მეტი ვაგონი და პლატფორმა. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლიტეს 640 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დასჭრეს 200-ზე მეტი.

მშობლიური ბელორუსიის მიწა-წყალზე

ვიტებსკი, ჟლობინი, ორშა, მოგილიოვი, ოსიპოვიჩი! ბელორუსიის ქალაქების შესანიშნავი სახელები რიგრიგობით და ყველა ერთად ძლევამოსილად გაისმის უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებებში. წითელი არმიის სწრაფ შეტევას, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ არა სცოდნია ომების ისტორიას, სრული განთავისუფლება მიაქვს ბელორუსი ხალხისათვის. შესანიშნავი დღეები, სასიხარულო დღეებია ჩვენი ქვეყნისათვის!

25 წლის წინათ შეიქმნა დამოუკიდებელი ბელორუსიის სახელმწიფო. საბჭოთა ბელორუსიამ დაიწყო ახალი ცხოვრება საბჭოთა ხალხების ძმურ წრეში, სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ. უკვე ძნელი გახდა იმ ხალხის ცნობა, რომელსაც წინათ სევდის, მდუმარების, მძიმე ფიქრის ხალხის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ბელორუსია ალაპარაკდა, ამღერდა,—და მისი სიმღერების გამეორება იწყო მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, როგორც სიხარულისა და ბედნიერების სიმღერებისა. კოლმეურნეობებში კეთილდღეობა დამკვიდრდა. ჩაისახა მსხვილი მრეწველობა,—შეიქმნა და გამშვენიერდა ქალაქები. უხვად აყვავდა ბელორუსიის კულტურა და მეცნიერება.

ბელორუსი ხალხის შრომითი თავისუფალი ცხოვრება შეწყვეტილ იქნა გერმანელთა ავაზაკური თავდასხმით. ბელორუსიამ ერთ-ერთმა პირველმა მიიღო თავის თავზე მტრის დარტყმის სიმძიმე. მას სასტიკი ფაშისტური ჩაგვრის უკუნეთი ღამე ჩამოაწვა. ჰიტლერელებმა თავიანთ პირდაპირ ამოცანად დაისახეს აღმოეფხვრათ ბელორუსიაში ყველაფერი, რაც შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში—ყველაფერი, დაწყებული სახელმწიფოდან და დამთავრებული ბელორუსი ბავშვის უდარდელი ბავშვობით.

ჩვენამდე აღწევდა საშინელი ამბები საბჭოთა ადამიანების მასობრივ მკვლელობათა შესახებ, სოფლების გადაბუგვის შესახებ, ქალაქების ნგრევის შესახებ, მთელი ბელორუსიის კულტურის მოსპობის შესახებ. გერმანელებმა ბელორუსიას მინსკ-ბარანოვიჩის ოლქი უწოდეს, ბელორუსებს — ბელორუტინები. მათ წაართვეს ბელორუსებს უფლება — რქმეოდათ ხალხი, ისინი სპობდნენ სკოლებს, წიგნებს, ყველაფერს, რაც მოწმობდა და გვაგონებდა ბელორუსიის კულტურას, მის ნათესაურ კავშირს რუს ხალხთან.

ჰიტლერის ნაცვალმა, მძვინვარე ჯალათმა კუბემ, გერმანელების დამახასიათებელი მთელი თავხედობით განაცხადა: „ბელორუტინიის დიდი ქალაქები—მინსკი, ვიტებსკი, გომელი, მოგილიოვი ნანგრევებად არიან ქცეული. საჭირო არ არის ამ ქალაქების აღდგენა, რადგან ქალაქი აფუჭებს ბელორუტინს, იმიტომ რომ იგი მიწაზე არის მიჯაჭვული".

მაგრამ არ დამორჩილდა საბჭოთა ბელორუსია! კიდით კიდემდე აენთო მთელი მხარე პარტიზანული წმიდა ომის ცეცხლით. ჯალათ კუბეს კარიერა აღკვეცილ იქნა პარტიზანის გაბედული ხელით. ასეთივე ხვედრი ეწია მრავალ ათას სხვა გერმანელსაც. სახალხო შურისმგებელთა მოძრაობა აქ მასობრივი შეიქნა და მან უდიდესი გაქანება მოიპოვა. ბელორუსები ელოდნენ წითელი არმიის მისვლას, ემზადებოდნენ მისი მისვლისათვის, მტკიცედ სწამდათ, რომ იგი მივიდოდა, და ეხმარებოდნენ მას ყველაფრით, რითაც კი შეეძლოთ. ადამიანები გამუდმებით მისჩერებოდნენ აღმოსავლეთს და ელოდნენ განთავისუფლების განთიადს.

ეს განთიადი აკიაფდა საბჭოთა ზარბაზნების გრიალით წითელი არმიის შეტევაში, რის შედეგადაც განთავისუფლებულ იქნენ ქალაქები გომელი და მოზირი, რეჩიცა და დობრუში, ხოინიკი და კრიჩევი, გომელის, მოგილიოვის, პოლესიესა და ვიტებსკის ოლქების მრავალ ასეულობით სოფელი.

მტერი თავგანწირულად ებღაუჭება ბელორუსიის მიწა-წყალს. მან იცოდა, რომ სწორედ აქ გადის უმოკლესი გზა დასავლეთისაკენ, ჰიტლერული გერმანიის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ. ბელორუსიის მიწა-წყალზე გერმანელები აგებდნენ უამრავ სიმაგრეებს, აგებდნენ თავდაცვით ზღუდეებს, თავიანთი პოზიციების დასაცავად გამოიყენეს ამ მხარის ბუნება—უსაზღვრო ჭაობები, საფლობები, ლაქაშები, ტყეები. ისინი ვარაუდობდნენ, რომ გამაგრდებოდნენ იქ, შეაკავებდნენ და ჭაობებში ჩაახრჩობდნენ წითელი არმიის შეტევას.

არ გამოუვიდათ! წითელმა არმიამ შეტევის მძლავრი ურთი დაამსხვრია გერმანელთა თავდაცვა ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით და შეუჩერებლად წავიდა ბელორუსიის მიწა-წყალზე, სამშობლოს უბრუნებს ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებს, ჰიტლერული მონობისაგან ათავისუფლებს ბელორუსი ხალხის მილიონობით ვაჟებსა და ქალიშვილებს. შემტევი საბჭოთა მეომრების განმანადგურებელი დარტყმებით მტრის ჯარები იძულებული არიან ზედიზედ დასწმინდონ ოკუპირებული რაიონები.

თავისუფლების ალამი კვლავ აღიმართა ბელორუსიის საოლქო ცენტრზე — ვიტებსკზე, დიდ საოლქო ცენტრზე—მოგილიოვზე, ჟლობინზე, ორშაზე, შკლოვზე, ბიხოვზე, ოსიპოვიჩზე, ლეპელზე, ხოლოპენიჩზე, კლიჩევზე. მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში წითელი არმიის ჯარებმა ბელორუსიის 1.150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს!

როგორც ნათლად ჩანს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებიდან, ჩვენი ჯარები არა მარტო სდევნიან მტერს ბელორუსიის მიწა-წყლიდან, არამედ ულმობლად სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. წითელი არმიის ნაწილების გაბედული და ენერგიული მოქმედებით ვიტებსკის რაიონში გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის დაჯგუფება მე-4, 197-ე, 206-ე და 246-ე ქვეითი დივიზიებისა და მე-6 ავიასაველე დივიზიის შემადგენლობით. იქ გაჟლეტილია 20 ათასზე მეტი ჰიტლერელი, ტყვედ წამოყვანილია 10 ათასზე მეტი. ქალაქ ბობრუისკის რაიონში გარშემორტყმულია გერმანელთა 5 დივიზია და ამჟამად სწარმოებს ბრძოლები მათ მოსასპობად. მოგილიოვისათვის ბრძოლაში განადგურებულია გერმანელთა მე-12 ქვეითი დივიზია. ჰიტლერელებს უდიდეს ზარალს აყენებს ჩვენი ავიაცია, კერძოდ, შორიმოქმედების ავიაციის მასირებული თავდასხმები.

ამხანაგ სტალინისადმი წერილში, რაც მიღებულ იქნა 1944 წლის 1 იანვარს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო სხდომაზე განთავისუფლებულ გომელში, ნათქვამი იყო: „ბელორუს ხალხს ურყევად სწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, მთელი ბელორუსია გაწმენდილი იქნება პირსისხლიანი გერმანელი დამპყრობლებისაგან".

ეს დრო დადგა. წითელი არმია ათავისუფლებს ბელორუსიას. ჩვენ ვიცით, რომ წინ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი სიძნელეა. მაგრამ საბჭოთა მეომრების მისწრაფება გამარჯვებისადმი შეურყეველია, მათი ოსტატობა ნაწრთობი და შემოწმებულია სამი წლის ბრძოლებში. გამაგრდი, მშობლიურო ბელორუსიავ! დიდი ხანი აღარ დაგრჩენია იტანჯო გერმანელთა ტყვეობაში. ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშებით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი მამაცი წითელი არმია იკაფავს გამარჯვების გზას დასავლეთისაკენ, და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის მისალმებანი თან ახლავს მას გმირულ ბრძოლებში.

„პრავდის" 29 ივნისის მოწინავე.

კაპიტანი ა. შ. მიქელაძე

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ომი რომ დაიწყო, ალექსანდრე შალვას-ძე მიქელაძე სამხედრო-სატრანსპორტო აკადემიას ამთავრებდა.

1942 წლის იანვრიდან იგი ფრონტზეა, იმ ნაწილში, რომელსაც დაკისრებული აქვს მტრის მიერ აფეთქებული რკინიგზის ხიდების აღდგენა.

ოფიცერ მიქელაძეს ასეული მიანდეს.

შემტევი წითელი არმიის ნაწილებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ აღმდგენელები. ფრონტი შეუფერხებლად მოქმედ მაგისტრალებს მოითხოვდა. უძნელეს და უმძიმეს პირობებში, მტრის ცეცხლქვეშ უხდებოდათ ჩვენს მებრძოლებს ხიდების აღდგენა. და კაპიტან მიქელაძის ასეული მუდამ წინ იყო.

ამ ასეულმა დამოუკიდებლად აღადგინა 11 დიდი და საშუალო ხიდი, თუ არ ჩავთვლით მრავალ წვრილ ხელოვნურ ნაგებობას.

უნარიანი მეთაურობისათვის, საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის კაპიტანი მიქელაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. თავდადებული შრომისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოები მიეცა მისი ასეულის მეომართა უმრავლესობას.

საბჭოთა კავშირში

ბოსტნეული ყინულოვანი ოკეანის ნაპირზე

შარშან „დალსტროის" ჩუკოტის სამთამადნო სამმართველოს აგრონომმა ამხ. კრივოროტოვმა პირველად დაიწყო ბოსტნეულის მოყვანა ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე. ენტუზიასტმა აგრონომმა პატარა კვალსათბური გააკეთა და მოიყვანა ხახვი, თვის ბოლოკი, თალგამი.

წელს მან პატარა დამხმარე მეურნეობა მოაწყო. გაკეთებულია მეორე კვალსათბური. ამ კვალსათბურში უკვე ჰყვავის კიტრი, პამიდორი, ამოსულია ხახვი, ჭარხალი, თამბაქო. ამას წინათ თვის ბოლოკის პირველი მოსავალი აიღეს. ამჟამად ცდის სახით აგრონომმა ცის ქვეშ გააკეთა კვლები, რათა მოკლე ზაფხულის განმავლობაში მოიყვანოს ჭარხალი, სტაფილო, თალგამი. (საკდესი).

„ლაშქრობა კარპატებში"

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობა ამთავრებს წიგნის „ლაშქრობა კარპატებში" ბეჭდვას. ამ წიგნის ავტორია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი თევდორე არტიომის-ძე კოვპაკი—მეთაური პარტიზანული შენაერთისა, რომელმაც რეიდებით გაიარა უკრაინის 217 რაიონი, 13 ოლქი.

წიგნი მოგვითხრობს კოვპაკის ყველაზე თვალსაჩინო რეიდზე, რომელიც მან 1943 წლის ზაფხულში ჩაატარა კიევის ოლქიდან კარპატებში.

29 ივნისი (საკდესი).

ლენინგრადის ფრონტი. საბჭოთა ჯარები განთავისუფლებულ ქალაქ ტერიოკის ქუჩებში. ფოტო რ. მაზელევისა და ვ. ტარასევიჩისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოწინააღმდეგის ზარალი და ბელორუსიის მე-3 ფრონტისა და ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარების დავლა

ამა წლის 23-დან 27 ივნისამდე შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა არმიის გენერალ **ჩერნიახოვსკის** სარდლობით, ამა წლის 23-დან 27 ივნისამდე ჩატარებული შეტევითი ბრძოლების შედეგად, შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 126 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 796 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 290 ნაღმსატყორცნი, 2.852 ტყვიამფრქვევი, 1.840 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 32 ათასზე მეტი გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში **ბელორუსიის** მე-3 ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 36 ტანკი, 33 თვითმავალი ქვემეხი, 652 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 514 ნაღმსატყორცნი, 1.774 ტყვიამფრქვევი, 13.380 შაშხანა და ავტომატი, 163 რადიოსადგური, 3.300 ავტომანქანა, 25 საწევარი, 32 ორთქლმავალი, 1.540 ვაგონი, 2.266 ცხენი, 225 საწყობი საომარ მასალიანად, შეიარაღებიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ტყვედ წამოყვანილია 20 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და 300-ზე მეტი ოფიცერი, მათ შორის 53-ე საარმიო კორპუსის მეთაური ინფანტერიის გენერალი **გოლვიტცერი**, 206-ე პდ-ის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი **ხიტერი** და 53-ე აკა-ს შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **შმიდტი**.

ამრიგად გერმანელთა საერთო ზარალი მთავარ სახეობათა საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ **ბელორუსიის** მე-3 ფრონტის ხუთი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 52 ათას კაცს, 195 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 1.448 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 804 ნაღმსატყორცნს, 4.626 ტყვიამფრქვევს, 5.140 ავტომანქანას.

* * *

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა არმიის გენერალ **ბაგრამიანის** სარდლობით, ამა წლის 23-დან 27 ივნისამდე ჩატარებული შეტევითი ბრძოლების შედეგად, შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 269 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 252 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 170 ნაღმსატყორცნი, 1.009 ტყვიამფრქვევი, 1.026 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

ამავე ხნის განმავლობაში **ბალტიისპირეთის** 1-ლი ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 31 ტანკი, 374 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 156 ნაღმსატყორცნი, 1.093 ტყვიამფრქვევი, 10.565 შაშხანა და ავტომატი, 137 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 1.424 ავტომანქანა, 9 ორთქლმავალი, 30 რკინიგზის ვაგონი და პლატფორმა, 595 ცხენი, 225 საწყობი საომარ მასალიანად, შეიარაღებიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ტყვედ წამოყვანილია 5 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად გერმანელთა საერთო ზარალი მთავარ სახეობათა საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ **ბალტიისპირეთის** 1-ლი ფრონტის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 25 ათას კაცს, 300 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 626 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 326 ნაღმსატყორცნს, 2.102 ტყვიამფრქვევს, 2.450 ავტომანქანას.

შეტევითი ბრძოლების შედეგად, რომლებიც **ჩატარდა ორი ფრონტის—ბელორუსიის მე-3 ფრონტისა და ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მჭიდრო თანამოქმედებით და რომელიც დამთავრდა მოწინააღმდეგის ვიტებსკის დაჯგუფების გარშემორტყმითა და მოსპობით და ქალაქ ვიტებსკის განთავისუფლებით**, გერმანელთა ზარალი მთავარ სახეობათა საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 77 ათას კაცს, 495 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 2.074 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 1.130 ნაღმსატყორცნს, 6.728 ტყვიამფრქვევს, 7.590 ავტომანქანას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა კავშირის გმირი ნოე ალექსანდრეს-ძე ურუშაძე

ჩვენი მეომრების მცირე ჯგუფი ნ მაღლობზე გამაგრდა. იგი მათ სულ ცოტა ხნის წინათ ჰიტლერელებს წაართვეს. გერმანელები არ ერიდებოდნენ არავითარ მსხვერპლს და ყოველნაირად ცდილობდნენ დაებრუნებინათ მაღლობი. მათ დღის განმავლობაში რვაჯერ მოიტანეს კონტრიერიში, მაგრამ ფაშისტთა ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ამ ბრძოლაში ვაჟკაცობა გამოიჩინა წითელარმიელმა ნოე ალექსანდრეს-ძე ურუშაძემ. ის მტრის ყოველგვარ მოძრაობას გულდასმით ადევნებდა თვალყურს. ჰიტლერელთა გაცილებით ჭარბმა ძალებმა რამდენჯერმე სცადეს იერიშის მოტანა, მაგრამ ჩვენი მეომრების ცეცხლი ფაშისტებს რისხვად ატყდებოდა. წითელარმიელ ნ. ურუშაძეს ავტომატის ვაზნები გამოელია, მაგრამ ახლა მან დაზგის ტყვიამფრქვევით დაუწყო ჟლეტა გამხეცებულ ჰიტლერელებს. მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო ჩვენი არმიის მამაც მეომართა ცეცხლს, უკან დაიხია და ბრძოლის ველზე რამდენიმე ათეული გვამი დასტოვა. ასე იქნა შენარჩუნებული მაღლობი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

ბრძოლის ველიდან ამხ. ნ. ურუშაძე იწერება პატრიოტულ წერილებს, მოუწოდებს დედასა და დას იმუშაონ თავდადებით ზურგში და დაეხმარონ ფრონტს მტრის საბოლოო განადგურებაში.

ერთ-ერთ წერილში იგი სწერს: „სალამი საყვარელ დედას! მე ჯანმრთელად და კარგად ვარ. ჩემი გამძლეობა ახლა გამომადგა სამამულო ომში. დაუნდობლად ვანადგურებთ მტერს. საზიზღარი მტერი უკვე წელში გავტეხეთ. ჩვენი ჯარები წინ მიდიან და ზედიზედ ათავისუფლებენ საყვარელი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებს“.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ნ. ურუშაძის დედა მაგდანა უკვე სამოცი წლისაა. მიუხედავად ამისა, იგი კოლმეურნეობაში სტახანოვურად მუშაობს. ნოეს უფროსი ძმა ომის დაწყებიდანვე ფრონტზე იმყოფება. მისი და ნინა ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მუშაობს და საწარმოო გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

ამ დღეებში ლანჩხუთის რაიონის მშრომელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაზეთების საშუალებით გაიგეს, რომ მათ თანასოფლელს ნოე ალექსანდრეს-ძე ურუშაძეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამხ. ნ. ურუშაძე 24 წლის ჭაბუკია. იგი დაიბადა 1920 წელს ლანჩხუთში. შვიდწლედი ამავე რაიონის სოფელ ლაშისღელეში დაამთავრა. სწავლობდა თბილისში საშოფერო კურსებზე. სწავლის დამთავრების შემდეგ ამხ. ნ. ურუშაძე ლანჩხუთის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების ავტო-მექანიკოსად მუშაობდა.

ამხ. ნ. ურუშაძე მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში 1942 წელს გაიწვიეს. მან ღირსეულად გაამართლა ქართველი ხალხისა და დედა-სამშობლოს ნდობა.

მ. საქარული

დაიწყო ახალი სასწავლო წლისათვის მზადება

კლუხორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კლუხორში გაცხოველებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. რაიონში გაიხსნა ოთხი ახალი ქართული სკოლა: ქალაქში საშუალო სკოლა, სოფელ ზემო და ქვემო ტებერდაში—არასრული საშუალო სკოლები, სოფელ ახალშენში — დაწყებითი სკოლა. გათვალისწინებულია აგრეთვე უჩკულანის ხეობის სოფლებისათვის ოთხი ქართული სკოლის გახსნა.

რაიონის კოლმეურნეები ენერგიულად შეუდგნენ გერმანელი ავაზაკების მიერ დანგრეული სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტს. მიმდინარეობს აგრეთვე მერხების, მაგიდებისა და სკოლებისათვის საჭირო სხვა ინვენტარის დამზადება. ჩატარდა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. შესწავლილ იქნა პედაგოგიური კადრების შემადგენლობა. ქართული სკოლების პედაგოგთა სიმცირე კლუხორში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა მხედველობაში უნდა მიიღოს და რაიონი უზრუნველჰყოს საჭირო კადრებით.

ამ დღეებში რაიონში გაიხსნება ბავშვთა ორი გამაჯანსაღებელი მოედანი. ერთი მათგანი—ქ. კლუხორში და ერთიც — სოფელ ზემო ტებერდაში. თვითეული მათგანი მომსახურებას გაუწევს 30 ბავშვს. მოედნების გახსნისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დამთავრდა. გამოყოფილია საჭირო ბინა და საკვები პროდუქტები.

ა. ჭანკვეტაძე

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 25 ივნისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის შესრულება მაისის დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის შესრულება მაისის დანაკლისის ჩათვლით პროცენტობით
ბათუმი	35,3	78,7	ქუთაისი	36,0	53,3
ქობულეთი	33,8	78,8	წყალტუბო	38,9	54,4
გალი	35,2	72,1	ტყიბული	44,8	110,4
ოჩამჩირე	32,8	67,4	ცხაკაია	38,4	75,0
გულრიფში	59,4	140,0	აბაშა	28,0	26,0
სოხუმი	98,0	390,0	გეგეჭკორი	35,4	69,0
გუდაუთი	43,4	100,6	ზუგდიდი	34,1	67,7
მახარაძე	33,0	73,3	წალენჯიხა	40,2	76,0
ჩოხატაური	35,1	75,7	ჩხოროწყუ	34,8	53,1
ლანჩხუთი	29,9	61,8	ხობი	37,6	69,3
სამტრედია	42,2	88,9	ჩხარი	37,8	43,0
წულუკიძე	39,8	94,3	ზესტაფონი	15,5	25,0

მამათისა და ლანჩხუთის (ლანჩხუთის რაიონი), ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (მახარაძის რაიონი) და ხობის ჩაის ფაბრიკების, აგრეთვე წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონების ცნობები 20 ივნისისაა.

მარგანეცი გეგმის გადამეტებით

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს ჭიათურის „მარგანტრესტის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი მარგანეცის ამოღების გადიდებით უპასუხებს. 27 ივნისისათვის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნახევარი წლის გეგმა. ექვს თვეში მაღაროელებმა ქვეყანას მისცეს 1.000.000 მანეთზე მეტი მოგება. მარგანეცის ნგრევის ოსტატებმა ორდენოსნებმა პ. მიროტაძემ და ა. გაფრინდაშვილმა ნახევარი წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოიღეს რამდენიმე ათეული ტონა მარგანეცი.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდლობის ფონდისათვის ივნისში გეგმის გადამეტებით გამოიღოს 1,000 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

პ. ჭიოკაძე

დაწინაურებული შახტი

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტმა ვადაზე ადრე, 25 ივნისისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა. შახტის კოლექტივმა, ჩვენი გმირი წითელი არმიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა, იკისრა თვის ბოლომდე წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ფონდისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს 1.700 ტონა ქვანახშირი. ამ შახტის მოწინავე უბანმა, რომელსაც ინჟინერი გ. ჩიტიშვილი ხელმძღვანელობს, იკისრა თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 350 ტონა ქვანახშირი.

დ. საგილაშვილი

ტყვარჩელის თბოელექტროსადგური მოწინავეთა რიგებშია

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). პროფესიათა შორის შეჯიბრების მოწყობის შედეგად ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მუშათა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ჩხეიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ხვინგია) ელექტროენერგიის გამომუშავების მაისის გეგმა 154 პროცენტით შეასრულა, ერთი პროცენტით დაზოგა სათბობი მასალა და ელექტროენერგიის ხარჯვა პირადი საჭიროებისათვის შეამცირა 11 პროცენტით.

თბოელექტროსადგურის მუშათა 80 პროცენტი სტახანოველებია. ისინი გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ა. კალატოზაშვილი

მახარაძის ფაიფურის ქარხანაში

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის ფაიფურის ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შემოაქვთ მრავალი რაციონალიზატორული წინადადება ფაიფურის ნაწარმთა გამოშვების დასაჩქარებლად. უკანასკნელ ხანებში ქარხნის კოლექტივის მოწინავე ადამიანებმა ამოცანად დაისახეს მიაღწიონ ფართო მოხმარების ფაიფურის ჭურჭლის გამოშვების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას. ამხ. კ. ჭელიძემ შემოიტანა წინადადება, რომელიც უკვე განხორციელებულია და თაბაშირის დიდ ეკონომიას იძლევა თეფშებისა და მათლაბების კეთებისას.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი წარმატებით მუშაობს ფაიფურის ჭურჭლეულის ახალი ასორტიმენტის გამოშვებაზე.

ლ. ლოლაძე

შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

⊙ **ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის** კოლექტივმა შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. მარტო ივნისში ბათუმელმა მკერავებმა დაზოგეს 1.100 მეტრი ქსოვილი.

⊙ **თბილისის სამტრესტის ღვინის მეორე ქარხანამ** (დირექტორი ამხ. მ. პირველი) ნახევარი წლის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე 20 ივნისისათვის შეასრულა.

წერილების კვალდაკვალ

„ფრონტულ ბრიგადებს—ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება“

გაზეთ „კომუნისტის“ 25 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია „ფრონტულ ბრიგადებს—ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება“. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ფრონტული ბრიგადების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიული კომიტეტის ბიურომ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

თბილისი. საორთქლმავლო დეპო სურათზე: კრივონოსელი მემანქანე ვ. ნონიკაშვილი, რომელმაც ვალდებულება იკისრა — 120.000 კილომეტრი გაიაროს თავისი ორთქლმავლით საამწეო რემონტის გაუკეთებლად.

თბილისი. 26 კომისრის სახელობის ქარხანა სურათზე: სტახანოველი კომკავშირელები ე. ხიზანიშვილი (მარცხნივ) და ა. ოვანესოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

აღმოვფხვრათ იერიშობანა ჩაის კრეფაში

გეგეჭკორი („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). რაიონში ჩაის მოკრეფილი ფოთლის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს იერიშობანას კრეფაში, ივნისის შუა რიცხვებამდე კრეფა თითქმის სულ არ სწარმოებდა. კოლმეურნეობათა ნაწილში 20 ივნისიდან მთელი მუშახელი გადაყვანილ იქნა ჩაის პლანტაციების თოხნაზე და ჩაის ფოთლის კრეფას 27 ივნისამდე ხელი შეუშვეს. გეგეჭკორის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ა. კვესელავა) 25 ივნისიდან ყველა ბრიგადაში ჰქონდა საკრეფი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, კრეფა კი 27 ივნისსაც არ იყო დაწყებული. 27 ივნისს მეორე ბრიგადაში ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა მხოლოდ ერთი ქალი — პირველი რგოლის წევრი მარო სულავა, რომელიც სამუშაოდ გამოვიდა გვიან, 11 საათზე და 2 საათამდე მოკრიფა 4 კილოგრამი ჩაი. ყურადღება არ ექცევა პლანტაციების დაცვასაც. ამ ბრიგადის პლანტაციაში თავისუფლად ძოვდა პირუტყვი. 27 ივნისამდე პირველი ხარისხის ფოთოლი სულ არ მოუკრეფიათ სოფელ დოშაყეს სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს, კიწიის კოლმეურნეობებს „მოწინავეს“ და „პირველ ნაბიჯს“. ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას საერთო გეგმა 25 ივნისისათვის შესრულებული აქვს 7,8 პროცენტით. როგორც მაისში, ისე ივნისშიც ძლიერ ჩამორჩა ხუნწის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც მაისში პირველი ხარისხის ფოთოლი ერთი კილოგრამიც არ მოუკრეფია.

სოფელ კიწიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფოთოლს ყლორტებიანად ჰკრეფდნენ და ამის გამო 150 კილოგრამი უხარისხო აღმოჩნდა. ტალერის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში უხარისხო აღმოჩნდა — 130 კილოგრამი. დიდიჭყონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კრეფა შეაჩერეს და 27 ივნისამდე მუშახელი მთლიანად გადაყვანილი იყო ჩაის პლანტაციების თოხნაზე. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში კრეფა 26 ივნისს დაიწყო. ამ დღეს პირველი ბრიგადის მიერ მოკრეფილ 18 კილოგრამ ჩაის ფოთოლში არეული იყო პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ფოთლები. არაწესიერი კრეფის შედეგად ივნისში სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას უხარისხოდ ჩაეთვალა 600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობას — 300 კილოგრამი, გეგეჭკორის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას 187 კილოგრამი.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი მიმღები პუნქტი არასწორად ღებულობს ფოთოლს. ჯოლევის პუნქტმა (გამგე მ. დიხამინჯია) ჩაის ფოთოლი მიიღო მესამე ხარისხად და იგი მთლიანად წუნდებული აღმოჩნდა. აბედათის პუნქტის (გამგე ა. ქაჯაია) მიერ მიღებული 590 კილოგრამი მესამე ხარისხის ფოთოლი უვარგისად იქნა ცნობილი.

იერიშობანა იწვევს დანაკარგებსა და ხარისხის გაუარესებას. ამიტომ საჭიროა კრეფა სწარმოებდეს ყოველდღიურად, თანმიმდევრობით. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში კარგად შემოდის პირველი ხარისხის ფოთოლი. თუ მას დროზე ვერ მივუსწარით, გაუხეშდება და დაეცემა ხარისხი.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ ყველა ღონისძიება ჩამორჩენის სწრაფად აღმოსაფხვრელად, რათა ქვეყანას მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი.

ნ. ჟანჟღავა

მივცეთ სამშობლოს მეტი თამბაქო

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გაგრის რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს თამბაქოს ჯანსაღი ჩითილის გამოყვანისა და ვადაზე ადრე დარგვის საქმეში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სოფელ განთიადის სტალინის სახელობის, სოფელ ალახაძის კაგანოვიჩის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. მათ წარმატებით დაამთავრეს თამბაქოს დარგვა და გააჩაღეს პლანტაციების დამუშავება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა პლანტაციების მეორე გათოხნა და ახლა მესამე გათოხნაზე მუშაობს. კარგი მოვლის შედეგად პლანტაციები სანიმუშოდ გამოიყურებიან.

ამ დღეებში რესპუბლიკურმა ჟიურიმ საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა გაგრის რაიონს. ამასთან დაკავშირებით გაგრაში შესდგა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის მდივანს ამხ. მ. კუჭავას გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ, რომელმაც თავის მისალმების სიტყვაში კოლმეურნეებს მოუწოდა მომავალში თავდადებით იმუშაონ იმისათვის, რომ ფრონტსა და სამშობლოს მისცენ, რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი თამბაქო.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის მდივანი ამხ. მ. კუჭავა. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნის“ თავმჯდომარე ამხ. დემერჩიანი, ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ხიდაშელი, კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარე ამხ. ბარსიკიანი, ამავე კოლმეურნეობის მერგოლეური, საბჭოთა კავშირის გმირ გარანიანის მეუღლე ს. გარანიანი და სხვ. მათ შეკრების მონაწილეებს მოუთხრეს თავიანთ გამოცდილებაზე და პირობა დასდეს, რომ გადამეტებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმებს.

რაიონის მოწინავე მეთამბაქოე კოლმეურნეებს შეკრებაზე დაურიგდათ ფულადი ჯილდოები.

ზ. მერკვილაძე

პური—სახელმწიფოს

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. სირაძე) დაიწყო პურის მკა. ორ დღეში მოსავალი 16 ჰექტარზე აიღეს.

ყურადღება ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას. პირველსავე დღეს თავთავების აკრეფაზე 30-მდე მოზარდი მუშაობდა.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 2.000 კილოგრამი ქერი და 1.000 კილოგრამი ხორბალი. ძნების ზიდვაზე 21 ურემი მუშაობს.

პურის მოსავლის აღება დაიწყეს აგრეთვე იორმუღანლოს, გურჯაანის, ვეჯინის კოლმეურნეობებმა. მალე რაიონში მასობრივად გაჩაღდება ყანის მკა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება.

შ. მაჭავარიანი

მოსავალმა ლოდინი არ იცის

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ). ნათესებს კარგი პირი უჩანს. მიმდინარეობს სათოხნი კულტურების მოვლა-დამუშავება. მოწინავე კოლმეურნეობები ენერგიულად ემზადებიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

სოფელ დვანის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ უკვე შედგენილია 360 ჰექტარზე პურეულის აღების გეგმა. ეწყობა 8 კალო. კოლმეურნეობას დაკომპლექტებული ჰყავს კომბაინის მომსახურე პერსონალი. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები მიმაგრებული არიან მოსავლის ასაღებ უბნებზე. კოლმეურნეობაში შექმნილია ყველა პირობა პურეულის 10-12 სამუშაო დღეში ასაღებად. სახელმწიფოსათვის პურის ჩასაბარებლად ყოველდღიურად იმუშავებს 12 ურემი. მოსავლის აღებას მომზადებული ხვდებიან აგრეთვე კეხიჯვრის მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობა და ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“.

მაგრამ რაიონში კოლმეურნეობათა უმრავლესობას დიდი რაოდენობით აკლია მოსავლის აღებისათვის საჭირო ინვენტარი. ამ საქმეში კოლმეურნეობებს სუსტად ეხმარება ცეკავშირის რაიგანყოფილება.

სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მხოლოდ 10 ურემი აქვს, რაც კომბაინების მომსახურებასაც ვერ უზრუნველჰყოფს.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მოსავლის აღებისათვის მზადება ქვენატკოცის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ინვენტარი სანახევროდაც არ არის შეკეთებული, დაუკომპლექტებელია ბრიგადები, ჯერ კიდევ არ იციან, თუ რომელი ბრიგადა რომელ ნაკვეთზე აიღებს პურეულს. მოუწესრიგებელია შრომა. კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა ნათესების დამუშავებაშიც. ასეთივე მდგომარეობაა ძლევიჯვრის და რუისის უკანაუბნის კოლმეურნეობებში.

მოსავლის მასობრივად აღების დრო მოახლოვდა. მოსავალმა ლოდინი არ იცის. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა და მტს-ებმა ამ მიმართულებით გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა.

ვ. ინასარიძე

ბ. კიზირია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე

როგორ დავამთავრეთ სასწავლო წელი

გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა სკოლის მასწავლებლებმა გასული სასწავლო წლის დამდეგს წერილით მიმართეს საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. ამ წერილს ქალაქ თბილისის სკოლების 2.312 მასწავლებელმა მოაწერა ხელი. საბჭოთა მასწავლებლებმა პირობა მისცეს საყვარელ ბელადს, რომ განუხრელად გაატარებდნენ ცხოვრებაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონს, ძალ-ღონის დაუზოგავად იმუშავებდნენ, რათა ბავშვებს სრულფასოვანი და მკვიდრი ცოდნა შეეძინათ, ჩაუნერგავდნენ მათ სიმართლისა და პატიოსნების, თავაზიანობისა და სიფაქიზის გრძნობებს, შეაყვარებდნენ შრომას, აღზრდიდნენ მათგან დიდი კულტურისა და მაღალი დისციპლინის ადამიანებს, მშობლიურ მზრუნველობას გაუწევდნენ ოჯახებისაგან დროებით განშორებულ ბავშვებს, ფრონტელთა შვილებს. გასული სასწავლო წელი ბელადისადმი მიცემული პირობის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა.

თბილისის სკოლებმა გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში. სასწავლო წლის დამდეგს თბილისში 70 სკოლა იყო. ბავშვთა კონტინგენტის გადიდებასთან ერთად წლის პირველ ნახევარში სკოლების ქსელიც გაიზარდა — მოემატა 5 საშუალო სკოლა. მოსწავლეთა კონტინგენტი გაიზარდა უმთავრესად სამამულო ომის პირველ წლებში სკოლებიდან განთესილ მოზარდთა სკოლაში დაბრუნებით.

მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. სკოლების ბიბლიოთეკებთან შეიქმნა სტაბილური სახელმძღვანელოების ფონდი. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ მიზნით გამოჰყო 75.000 მანეთი. ყველა სკოლასთან არსებობდა ბუფეტი, საიდანაც ბავშვები ყოველდღიურად კარგი ხარისხის საუზმეს იღებდნენ. ამავე დროს სუსტი ჯანმრთელობის ბავშვების გაძლიერებული კვებით უზრუნველსაყოფად გაიხსნა სასადილოები და სამზარეულოები, საიდანაც 1.500 მოსწავლე იღებდა სადილს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასწავლო წლის განმავლობაში სამრეწველო საქონლით (მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა) მოსწავლეთა მომარაგებას.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. აპრილში ჩატარებული აღრიცხვით დადასტურდა, რომ სკოლის გარეშე დარჩენილია I-X კლასების ასაკის 1.774 ბავშვი და მოზარდი. გასული სასწავლო წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით სკოლებიდან გავიდა 234 მოსწავლე. ცუდად ჩატარდა აღრიცხვა 7-8-წლიანი ბავშვებისა, რომლებიც ახალ სასწავლო წელს უნდა იქნენ სკოლებში მიღებული. როგორც სახლთმმართველებმა, სახლების კომენდანტებმა და სახლის პატრონებმა, ისე სკოლებმა და განათლების ორგანოებმა ამ საქმეს საკმაო სერიოზულობით არ მოჰკიდეს ხელი. ამჟამად 7-8-წლიან ბავშვთა აღრიცხვა ხელახლა მიმდინარეობს.

თბილისის სკოლების მასწავლებლები ძალღონის დაუზოგავად მუშაობდნენ იმისათვის, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი საქმე სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინათ, მოსწავლეები შეეიარაღებინათ მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრი ცოდნით, დაენერგათ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები, განემტკიცებინათ შეგნებული დისციპლინა, ფართოდ გამოეყენებინათ სკოლის გარეშე მუშაობა და სხვ.

ჩვენმა სკოლებმა მიაღწიეს მოსწავლეთა წიგნიერების თვალსაჩინო გაუმჯობესებას, მათი ზეპირი და წერითი მეტყველების მნიშვნელოვან ზრდას, მშობლიური ენის, რუსული ენის, ფიზიკის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ქიმიის, გეოგრაფიის, უცხო ენების სწავლების საგრძნობლად გაუმჯობესებას. საგნებში სტაბილური პროგრამები მთლიანად გავლილია, ზოგიერთ სკოლაში, ცალკეული კლასების გამოკლებით, მოსწავლეთა ცოდნა უფრო ღრმა და საფუძვლიანია, ვიდრე წინა წლებში.

ქალთა მე-6 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ. მჭედლიძე ერთ-ერთი მოწინავე პედაგოგია. იგი ყოველ გაკვეთილს მოფიქრებულად, მომზადებულად ატარებს, ნაყოფიერად იყენებს თვითეულ წუთს. მის გაკვეთილზე დისციპლინა ყოველთვის სანიმუშოა, მოსწავლენი ბეჯითად სწავლობენ, აქვთ გავლილი მასალის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ლაპარაკობენ და სწერენ საკმაოდ განვითარებული და დახვეწილი ენით.

ასევე კარგად მუშაობენ მასწავლებლები ვარდიაშვილი (ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა), შამათავა და ნიჟარაძე (ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა), ხარაძე და ბერიძე (ქალთა მე-3 საშუალო სკოლა), მათიაშვილი და ბერიშვილი (ქალთა მე-2 საშუალო სკოლა) და სხვები.

რუსული ენის სწავლება არასრულ სკოლებში დღითი დღე უმჯობესდება. მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათს მშობლებს ღრმად აქვთ შეგნებული რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ არაქართულ სკოლებში მეათე კლასის 144 მოსწავლემ რუსულ ენაში თემა შესანიშნავად დასწერა და შეფასება 5 მიიღო, მოწმობს ამ საგნის სწავლების გაუმჯობესებას. რუსული ენის სწავლებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მასწავლებლებმა ხოფერიამ (ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა), თუმანიანმა (ქალთა 31-ე საშუალო სკოლა).

ქალებისა და ვაჟების ცალკე სწავლების შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი სასწავლო დისციპლინების სწავლების გარდაქმნას. იგი განსაკუთრებით მოსწავლეთა სამხედრო მომზადების გაუმჯობესების საქმეში დაგვეხმარა. კიდევ მეტი, ქალებისა და ვაჟების სამხედრო მომზადება სხვადასხვა პროგრამების მიხედვით მხოლოდ გასულ წელს შეიქმნა შესაძლებელი, მოსწავლეთა სამხედრო მომზადება მკვიდრ ნიადაგზე მხოლოდ გასულ წელს დადგა. პროგრამები თითქმის ყველა სკოლაში გავლილია, მოსწავლეთა ცოდნა კარგია, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ფართოდ იყო გაშლილი და გამოყენებული საწრეო მუშაობა.

დიდი შედეგები მოიტანა მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების დანერგვამ სკოლაში და სკოლის გარეთ. მოსწავლეები გასულ წელთან შედარებით უფრო ბეჯითად და შეგნებულად სწავლობენ, უფრო ზრდილობიანად და თავაზიანად იქცევიან. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლე უხეშად არღვევს წესებს. ჩვენი ვალია დავრაზმოთ მთელი საზოგადოებრიობა და უზრუნველვყოთ აღნიშნული წესების მთლიანად გატარება.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები განხილულ იქნა კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრებაზე. აქტივმა წინადადება მისცა სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებსა და პიონერთა ორგანიზაციებს მთელი მუშაობა მიემართათ იქითკენ, რომ კომკავშირელი და პიონერი სანიმუშო ყოფილიყო სწავლასა და ყოფაქცევაში. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის შედეგები ცნობილია ყველა სკოლისათვის, თვითეული მოსწავლისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის იბრძვიან სკოლის კოლექტივები, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები.

წლიურ შემოწმებით გამოცდებს თბილისის სკოლები მომზადებულად შეხვდნენ.

თბილისის სკოლების 50.334 მოსწავლიდან სასწავლო წელი წარჩინებულად დაამთავრა და ყველა საგანში შეფასება 5 მიიღო 5.147 მოსწავლემ, საშემოდგომო გამოცდები მიეცა 8.572 მოსწავლეს, იმავე კლასში დატოვებულ იქნა 7.981 მოსწავლე.

ჩვენი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში იყო ნაკლოვანებებიც. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მოსწავლეთა ცოდნის დონემ საგრძნობლად აიწია, ჯერ კიდევ იშვიათი შემთხვევა როდია, როცა მოსწავლეებს მთლიანად და სავსებით შეთვისებული არა აქვს გავლილი მასალა. ზოგიერთი სკოლის ცალკეულ კლასებს ამა თუ იმ საგანში პროგრამა მთლიანად არ გაუვლია. ჩამორჩენა აქეთ, მაგალითად, ისტორიაში ქალთა 37-ე საშუალო სკოლის V-IX კლასებს, და ვაჟთა 31-ე საშუალო სკოლის აზერბაიჯანული სექტორის V-VIII კლასებს, უცხო ენაში — ვაჟთა 28-ე სკოლის V-IX კლასებს, სანიტარულ საქმეში—ქალთა 33-ე სკოლის ქართულ სექტორს, არითმეტიკაში—ქალთა 34-ე სკოლის IV კლასს.

ყველა სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების სისტემატური დასწრება გაკვეთილებზე, კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, პროგრამის თანმიმდევრობით გავლაზე, გაკვეთილის მომზადებულად და შინაარსიანად ჩატარებაზე, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებასა და შეფასებაზე. მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. მომავალ სასწავლო წელს ეს საქმე უნდა მოწესრიგდეს.

მომავალ სასწავლო წელს თბილისის სკოლებში მეცადინეობა დადგენილ დღეს — 1 სექტემბერს უნდა დაიწყოს. ამ დღისათვის ყოველმხრივ მზად უნდა იყოს სასკოლო შენობა, ინვენტარი, კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, სასწავლო ნივთები, სკოლის ბუფეტი, მომარაგებულ იქნას ზამთრისათვის საჭირო სათბობი მასალა, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი ჩაირიცხოს შესაფერ კლასებში, მასწავლებელთა შორის ზუსტად განაწილდეს სამუშაო იმ ვარაუდით, რომ სკოლის ყველა მუშაკმა მეცადინეობის დაწყებამდე შეადგინოს სათანადო გეგმა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის და გაკვეთილების ცხრილის შესაბამისად დაიწყოს პირველ დღესვე მეცადინეობა.

მომავალი სასწავლო წლიდან მთავრობის დადგენილებით დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების I კლასებში მიიღებიან შვიდწლიანი ბავშვები. 1 სექტემბერს ჩვენს სკოლებს ესტუმრებიან 8-წლიან ბავშვებთან ერთად შვიდწლიანებიც. საჭიროა თვითეულ სკოლას თავის სამოქმედო უბანში ჰქონდეს 7-8-წლიანი ბავშვების ზუსტი აღრიცხვა. 1 სექტემბერს უკლებლივ ყველა ბავშვი უნდა მოვიდეს სკოლაში. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, ეს სამუშაოები უნდა შეასრულონ სახლების კომენდანტებმა, სახლთმმართველებმა და სახლის მფლობელებმა. სკოლებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა კი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ მუშაობაში.

სკოლებიდან განთესილი ბავშვები და მოზარდები თვითეულმა სკოლამ თავის სამოქმედო უბანში ზუსტად უნდა აღრიცხოს და უზრუნველჰყოს მათი დაბრუნება სასწავლებელში. სკოლამ უნდა დასახოს პრაქტიკული ღონისძიებები შემდგომში მოსწავლეთა განთესვის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

სკოლებმა ზაფხულის განმავლობაში შესაძლო დახმარება უნდა გაუწიონ იმ მოსწავლეებს, რომელთაც საშემოდგომო გამოცდები მიეცათ. მათთვის უნდა გამოიყოს სამეცადინო ოთახები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და მოეწყოს კონსულტაცია.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები მზადებას ყოველთვის ატარებდნენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ყოველდღიური დახმარებით, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით. ასე უნდა ჩავატაროთ იგი ახლაც.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა, სამუშაო დიდია და სერიოზული. ძალ-ღონის დაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

ამას გვავალებს სამშობლო. ამას გვავალებს ჩვენი წითელი არმია, რომელიც დიდი სტალინის წინამძღოლობით გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

დეპეშები

„უდიდესი ძალის შეტევა"

უცხოეთის გამოხმაურება წითელი არმიის შეტევაზე

ნიუ-იორკი, 27 ივნისი (საკდესი). წითელი არმიის შეტევის ცნობებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ამერიკული გაზეთების ფურცლებზე. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წითელი არმიის შეტევას ვიტებსკის რაიონში და მის მიერ მოპოვებულ საბრძოლო წარმატებებს ახასიათებს, როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ომის ახალი ფაზის დასაწყისს და როგორც უდიდესი ძალის შეტევას. გაზეთი აღნიშნავს, რომ სამი დღის განმავლობაში წითელმა არმიამ გასთელა მოწინააღმდეგის ფრონტი უდიდეს სიგრძეზე და გაარღვია იგი მნიშვნელოვან სიღრმეზე. გერმანელები ცხადია, არ მოელოდნენ ასეთ მძლავრ იერიშს ვიტებსკის რაიონში, რომელიც გაზეთის აზრით, წარმოადგენს „იმ დიდი ისტორიული გზის ჭიშკარს, რომელიც მინსკით, ბრესტ-ლიტოვსკით და ვარშავით ბერლინის მიდის". დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ „ვიტებსკისათვის ბრძოლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნორმანდიისათვის ბრძოლასთან და მოკავშირეების მიერ გერმანელთა ჯარების დევნასთან იტალიაში, რამდენადაც ყველა ამ ოპერაციის მიმართულებას ბერლინი წარმოადგენს".

ლონდონი, 27 ივნისი (საკდესი). ინგლისელი რადიოკომენტატორი პატრიკ ლეისი თავის გამოსვლაში ლონდონის რადიოთი აღნიშნავს, რომ წითელი არმიის შეტევა იზრდება თავისი ძალითა და მასშტაბებით. ვიტებსკისა და ჟლობინის დაკავება მოასწავებს უდიდეს გამარჯვებას და წარმოდგენას იძლევა იმ ფრონტის სიგრძეზე, რომელზეც რუსები ავითარებენ თავიანთ შეტევას. წითელი არმიის მიერ მოპოვებული წარმატების მნიშვნელობა, აცხადებს პატრიკ ლეისი, შეუძლებელია გავაზვიადოთ, ვინაიდან როგორც ვიტებსკი, ისე ჟლობინი მტრის წინააღმდეგობის ძლიერ გამაგრებულ კვანძებს წარმოადგენდნენ. მიმომხილველი მოგვაგონებს, რომ, როდესაც 1941 წელს ჰიტლერელებმა ვიტებსკი დაიპყრეს, ისინი კვეხნით გაჰკიოდნენ, გატეხილია რუსთა თავდაცვის უკანასკნელი ხაზი და გერმანიის არმიის წინაშე აღარ არსებობს არავითარი ხელოვნური ან ბუნებრივი დაბრკოლება მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე. უკანასკნელ დრომდე გერმანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვიტებსკს, მაგრამ უკვე როგორც თავიანთი თავდაცვის მძლავრ სიმაგრეს. ისინი ვიტებსკს გერმანიის თავდაცვის ქვაკუთხედს უწოდებდნენ. წითელმა არმიამ, რომელმაც განავითარა მოპოვებული წარმატება, გასტეხა გერმანიის არმიის წინააღმდეგობა ვიტებსკში, რომელიც გერმანელებს გადაქცეული ჰქონდათ თავდაცვის სიმაგრედ.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 27 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 27 ივნისს გამოქვეყნებულ საღამოს ცნობაში ნათქვამია:

„მოკავშირეთა ჯარებმა ტილლი-სიურ-სელკანის რაიონში გადასჭრეს კან-ვილერ-ბოკაჟის რკინიგზა მუანის მახლობლად. ჩვენ წინ მივიწევდით კოკისპირულ წვიმაში; მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

კოტანტენის ნახევარკუნძულზე ჩვენ განვაგრძობთ ორგანიზებული წინააღმდეგობის უკანასკნელი ნაშთების ძლევას. მოწინააღმდეგის ჯარები გვიმკლავდებიან მაპერტიუს აეროდრომზე, შერბურის აღმოსავლეთით და ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას. ნახევარკუნძულზე წამოყვანილია სულ მცირე 20 ათასი ტყვე. მათი რაოდენობა მატულობს.

დილით ცუდი ამინდი ძლიერ უშლიდა ხელს ავიაციის მოქმედებას".

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

ტილლი-სიურ-სელის სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოებულ ბრძოლებში მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ძალებმა მოახერხეს გაეფართოებინათ გარღვევა, რომელიც 26 ივნისს ქვეითმა ჯარმა მოახდინა. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ ოთხი მილი სიგრძის ფრონტზე, უაღრესად გაფთრებული ბრძოლების შემდეგ მარცხენა ფლანგზე ტურვილის რაიონში გადასჭრეს ვილერ-ბოკაჟ-კანის მაგისტრალი. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ მოკავშირეთა ჯარები წარმატებით მიიწევენ წინ.

შერბურის მახლობლად მოკავშირეთა ჯარები წინ მიიწევდნენ, სწმენდდნენ ტერიტორიას მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთებისაგან, რომლებიც მიმწყვდეულნი არიან ნახევარკუნძულის შვერილებზე.

ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით გამოწვეული ორი დღის სიწყნარის შემდეგ მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალები გუშინ ოპერაციებს ეწეოდნენ ფართო სივრცეზე ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, შერბურიდან და ლა-როშიდან დასავლეთით ორლეანამდე და პარიზამდე აღმოსავლეთით. ავიაგამანადგურებლები და გამანადგურებელი ბომბდამშენები დახმარებას უწევდნენ მოკავშირეთა სახმელეთო ჯარებს.

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ტურვილი, რომელიც 10 კილომეტრზე მდებარეობს კანის სამხრეთ-დასავლეთით.

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 28 ივნისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მიუხედავად იმისა, რომ ამინდი გაუარესდა და მტერი ინტენსიურ წინააღმდეგობას გვიწევს, მოკავშირეთა ჯარები თანდათან მიიწევენ წინ ქალაქ კანის სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მტერი განდევნილ იქნა რორედან, რომელიც იმყოფება ფონტენეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც მტრის წინააღმდეგობა ყველაზე უფრო შეუპოვარი იყო. გრენვილსა და ტურვილში მომხდარი მძიმე ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯავშანსატანკო ნაწილებმა და ქვეითმა ჯარმა გადალახეს მდინარე ოდონი ტურვილის სამხრეთით 3 კილომეტრამდე სიგრძის უბანზე. ჩვენი ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ მდინარე ოდონის სამხრეთით მდებარე მაღლობისაკენ. კოტანტენის ნახევარკუნძულზე გრძელდებოდა ოპერაციები მტრის იმ დასაყრდენი პუნქტების სალიკვიდაციოდ, რომლებიც შერბურის დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარეობენ.

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარების ახალმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ოდონი და გააფართოვეს ხიდწინა სიმაგრე. მოკავშირეთა სატანკო ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მდინარე ოდონის სამხრეთით. კანის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, რომლებშიც ტანკები მონაწილეობდნენ.

მოპერტიუს აეროდრომის რაიონში, შერბურის აღმოსავლეთით, მტრის წინააღმდეგობა შესწყდა. ახლა ლიკვიდაცია უნდა ვუყოთ მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს დი-ლააგის კონცხზე.

ნაშუადღევს და საღამოს ცუდი ამინდი კვლავ ზღუდავდა ავიაციის მოქმედებას.

იუგოსლავიის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე სწარმოებს გერმანელების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენა

ჟენევა, 27 ივნისი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, უკვე ამჟამად ომის მსვლელობაში იუგოსლავიის ტერიტორიაზე, რომელიც გაწმენდილია გერმანელებისაგან, თანდათან სწარმოებს სახალხო მეურნეობის აღდგენა. ჰიტლერელებს ბევრ რაიონში დაუნგრევიათ ქალაქის მეურნეობა და მძიმე ზარალი მიუყენებიათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის. გერმანელებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში, სადაც განთავისუფლების პირველ დღეებში ყველაფერი გაპარტახებული იყო, ცხოვრებამ კვლავ დაიწყო აღორძინება. სახალხო განთავისუფლების ადგილობრივმა კომიტეტებმა ჩამოაყალიბეს მთელი რიგი სახელოსნოები იმ მიზნით, რათა დაეხმარონ საწარმოთა აღდგენას. მარტო ლიკასა და კორდუნაში ამ კომიტეტებმა შექმნეს 130-ზე მეტი სხვადასხვა სახელოსნო. სლავონიაში გახსნილია 300-მდე სახელოსნო.

გერმანელ გენერალ კრეიხის წერილი საბერძნეთში მყოფ საოკუპაციო ჯარებისადმი

სტამბოლი, 27 ივნისი (საკდესი). აპრილის ბოლოს ჰიტლერელებმა საბერძნეთში დახვრიტეს რამდენიმე ასეული მძევალი, სულერთიანად გაჟლიტეს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი სპარტის მახლობლად და გამოაცხადეს, რომ ეს არის პასუხი გერმანელ გენერალ კრეიხის მკვლელობაზე, რაც თითქოს პარტიზანებმა ჩაიდინეს. მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ეს დახვრეტა მოწყობილ იქნა იმისათვის, რომ დაემალათ მოსახლეობისა და გერმანიის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებისათვის ჭეშმარიტება, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ გენერალი კრეიხი—პელოპონესზე მყოფი 41-ე დივიზიის მეთაური—ახლო აღმოსავლეთში გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ 27 აპრილს ღამით იგი სპარტის მახლობლად, ტრიპოლისიდან მიმავალი სამხრეთ სანაპიროსაკენ, სადაც მას წყალქვეშა ნავი ელოდებოდა, შეიპყრეს გესტაპოელებმა და ადგილზე დახვრიტეს. ამას წინათ მოკავშირეთა მხარეზე გადმოვიდა ოფიცერი 41-ე დივიზიის შტაბიდან. მან ჩამოიტანა გენერალ კრეიხის ის მიმართვა გერმანელი ჯარისკაცებისადმი, რომელიც მას გადაუცია ნდობით აღჭურვილი პირებისათვის, რათა გაევრცელებინათ მისი გაქცევის შემდეგ.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ომს გენერალი კრეიხი ჰიტლერული ხელმძღვანელობის შეცდომად სთვლის.

„ჩვენმა არმიამ,—სწერს გენერალი კრეიხი,—რუსეთში განიცადა დამარცხება, რომელიც უმაგალითოა გერმანიის სამხედრო ისტორიაში. სტალინგრადი მუდამ იქნება უმძიმესი ბრალდება ჩვენი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ქედმაღლობისა და დილეტანტობის წინააღმდეგ".

იმ უიმედო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელშიც იმყოფებიან გერმანიის ჯარები საბერძნეთში, გენერალმა კრეიხმა უმაღლეს სარდლობას წარუდგინა მათი ევაკუაციის გეგმა. მაგრამ ეს გეგმა უარყოფილ იქნა. წერილში შემდეგ ნათქვამია: „ამიტომ ჩემს წინაშე მხოლოდ ორი გზა იყო: ან დავმორჩილებოდი უმაღლესი სარდლობის ბრძანებას, ან პროტესტი გამეცხადებინა მთელი ჩემი საქციელით. მე დავუკავშირდი ამავე სამხედრო ოლქის სხვა გენერალს, რომელიც იზიარებს ჩემს შეხედულებებს. ჩვენ ორივე გადავალთ მოწინააღმდეგის მხარეზე იმ იმედით, რომ ასეთი ნაბიჯით ხელს შევუწყობთ გერმანიის ხსნას ტოტალური მოსპობისაგან. ომი წაგებულია. გერმანიის არმია უკვე აღარ იბრძვის გერმანიისათვის. იგი თავისი დაღუპვისაკენ მიდის, რათა იხსნას უსაქმურებისა და მუქთახორების სიცოცხლე".

დიუი რესპუბლიკელთა კანდიდატია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში

ჩიკაგო, 28 ივნისი (საკდესის სპეც. კორ.). რესპუბლიკური პარტიის ყრილობამ ტომას დიუი,—ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი, რესპუბლიკური პარტიის კანდიდატად წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ყრილობამ კანდიდატად წამოაყენა ოჰაიოს შტატის გუბერნატორი ბრიკერი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ფრონტის მთელ სიგრძეზე მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავს თავის პოზიციებს და ცდილობს შეაჩეროს წინსვლა მოკავშირეთა ჯარებისა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ მტრის თავდაცვითი ტაქტიკისათვის ხელსაყრელ ადგილებში. მე-5 არმიის ნაწილები განუწყვეტლივ ავიწროებენ მოწინააღმდეგეს და დაიკავეს ქალაქები სანვინჩენცო, სასეტა და კიუსდინო (იტალიის დასავლეთი სანაპირო). ფრანგთა ნაწილები ამჟამად იმყოფებიან პუნქტ სან-კვირიკო დ'ორჩას მახლობლად (ტრაზიმენის ტბის დასავლეთით). მე-8 არმიის ნაწილებმა კვლავ წაიწიეს წინ კიუზის ტბის რაიონში და დაიკავეს სოფლები ჯოიელა და პორტო.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა შენაერთებმა თავს დაესხნენ ხიდებს ბუდაპეშტის რაიონში.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა სამხედრო ობიექტებს იტალიასა და იუგოსლავიაში.

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა არმიები იტალიაში განაგრძობენ მოწინააღმდეგის შევიწროებას და კვლავ წაიწიეს წინ მთელ რიგ უბნებზე. დასავლეთ სანაპიროზე მე-5 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი კასტანიეტო და წინ მიიწევენ. სანაპიროს მოშორებით იტალიის სიღრმეში დაკავებულია გზატკეცილების კვანძი — ქალაქი მონტიჩანო. აღმოსავლეთით ფრანგთა ჯარების მეწინავე შენაერთებმა დაიკავეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორია მონტიკიელოს, პიენცასა და მონტალჩინოს გადაღმა ტრაზიმენის ტბის დასავლეთით. მე-8 არმიის ნაწილები ავიწროებენ მოწინააღმდეგეს კიუზის ჩრდილო-დასავლეთით.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა შენაერთები თავს დაესხნენ კარლოვოს აეროდრომს ბულგარეთში, ორ ნავთსაწმენდ ქარხანას და დამხარისხებელ სადგურს ბუქარესტის რაიონში. დაიბომბა აგრეთვე მტრის სამხედრო ობიექტები იტალიაში, გემები იუგოსლავიის ნაპირებთან და სხვადასხვა ობიექტები თვით იუგოსლავიაში. წუხელ ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჯურჯუს (რუმინეთი).

პარიზში მოკლეს ვიშის „პროპაგანდის მინისტრი" ფილიპე ანრიო

ჟენევა, 28 ივნისი (საკდესი). ჰიტლერულმა სააგენტომ—გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაცხადა, რომ დღეს დილით პარიზში მოჰკლეს ვიშის „პროპაგანდისა და ინფორმაციის მინისტრი" ფილიპე ანრიო. ვიშის წარმომადგენლობის სახლს სენის სანაპიროს მახლობლად, სადაც ანრიო იმყოფებოდა, მიადგა რამდენიმე ავტომობილი, რომლებშიც ავტომატებით შეიარაღებული ადამიანები ისხდნენ. მათ იარაღი აჰყარეს სახლის მცველ ორ პოლიციელს. მისულთაგან სამი იმ ოთახში შევიდა, სადაც ანრიო იმყოფებოდა, და ტყვიით მოჰკლა იგი.

აქ აღნიშნავენ, რომ ფილიპე ანრიომ, რომელიც ბერლინის ერთერთი ყველაზე უფრო თავგამოდებული ლაქია იყო, ამას წინათ ბერლინში იმგზავრა გებელსის მიწვევით და ბევრ ჰიტლერელ მეთაურს შეხვდა.

მღელვარება კოპენჰაგენში

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). ლონდონის რადიომ გადასცა სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობა სერიოზული ანტიგერმანული მღელვარების შესახებ კოპენჰაგენში. გერმანელებმა სროლა აუტეხეს დანიელების რამდენიმე ჯგუფს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

ფინეთის მთავრობამ გადაწყვიტა განაგრძოს ომი

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

„გერმანიის სააგენტომ ტრანსოცეანმა დღეს დილით ცნობა გამოაქვეყნა ჰელსინკიდან, რომ ფინეთის მთავრობის საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელმა შემდეგი განუცხადა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს:

„ამ სერიოზულ დღეებში ფინეთმა გადაწყვიტა განაგრძოს ბრძოლა თავისი ძველი უფლებებისათვის. ამ მიზეზით ფინეთმა დახმარება სთხოვა გერმანიას. ფინეთის მთავრობას სავსებით შეგნებული აქვს ამ ნაბიჯის შედეგები, და უკვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მოსახლეობა მოიწონებს. ამჟამად ყველას ესმის, რომ გერმანია-ფინეთის კავშირი ცარიელი სიტყვები არ არის".

ფინეთის მთავრობა საბოლოოდ მიეყიდა ჰიტლერულ გერმანიას

სტოკჰოლმი, 28 ივნისი (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, ამ დღეებში ფინეთში ჩასულმა ჰიტლერელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა ფინეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს ფინეთს აღუთქვა გერმანიის მხრივ სამხედრო დახმარება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის განსაგრძობად. გერმანელები ახლა ავრცელებენ ცნობას, რომ ისინი შეუთანხმდნენ ფინეთის მთავრობას ამ საკითხზე. როგორც იუწყებიან, ჰელსინკში გაჩნდნენ გერმანიის ჯარები, რომელნიც იქ ჩავიდნენ გერმანელებსა და ფინეთის მთავრობას შორის შეთანხმების ძალით და რომელნიც მიდიან საბჭოთა კავშირ-ფინეთის ფრონტზე. ეს ფაქტები სავსებით ცხადჰყოფენ, რომ ფინეთის მთავრობის ლაპარაკი ზავის შესახებ მხოლოდ ნიღაბია, რათა დაჰფარონ ფინელი ხალხის მოტყუება ფინეთის მთავრობის მხრივ, რომელიც საბოლოოდ მიეყიდა ჰიტლერულ გერმანიას.

უცხოეთის ქრონიკა

22 ივნისს თეირანის ქალაქის სამმართველოში, თეირანის სამი ქუჩისათვის მარშალ სტალინის, პრეზიდენტ რუზველტისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის სახელების ოფიციალურად დარქმევის გამო, შესდგა მიღება, რომელსაც დაესწრნენ ირანის მთავრობის წევრები, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები, ამერიკის საქმეთა რწმუნებული, მეჯლისის დეპუტატები, პრესის წარმომადგენლები და სხვები.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი

დამთავრდა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც მიძღვნილი იყო აღდგენითი მშენებლობის საკითხებისა და საქართველოს არქიტექტორთა ამოცანებისადმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა თ. ფოცხიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გერმანელ ფაშისტთა მიერ დანგრეული ქალაქების აღდგენის დიდ სახალხო საქმეში ჩაბმულია საბჭოთა არქიტექტორების მთელი კოლექტივი. საქართველოს არქიტექტორების, მხატვრების, მოქანდაკეების წინაშეც ამ მხრივ სერიოზული ამოცანები დგას. მთელი ჩვენი შემოქმედებითი უნარი უნდა მოვახმაროთ ამ დიდ მშენებლობას.

მოხსენებით „აღდგენითი მშენებლობა და საქართველოს არქიტექტორთა ამოცანები" გამოვიდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ქურდიანი.

— უდიდესი მოცულობის აღდგენითი სამუშაოები,—სთქვა ამხ. ქურდიანმა,—მოითხოვენ დაპროექტებისა და აღდგენითი მშენებლობის გაძლიერებულ ტემპებს, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. აღდგენილი ქალაქები და სოფლები ლამაზი და კეთილმოწყობილი უნდა იყოს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღდგენითი სამუშაოების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ და ახალ საშენ მასალათა გამონახვას. სწრაფი შენების მეთოდებმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ აღდგენით სამუშაოებში. ამიტომ მოწესრიგებული იქნება მშენებლობისათვის საჭირო მასალებისა და ნაწილების (ფანჯრები, კარები, ტიხრები და სხვ.) წინასწარი დამზადება ქარხნული წესით. მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა სახის კონკრეტული დახმარების გაწევა შეუძლიათ საქართველოს არქიტექტორებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას.

საქართველოს არქიტექტორები, — სთქვა დასასრულ მომხსენებელმა, — აღდგენით სამუშაოებში პატრიოტული მონდომებით მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღდგენითი სამუშაოების დროს შევქმნათ დიადი სტალინური ეპოქის შესაფერისი ახალი არქიტექტურული ძეგლები.

პრაქტიკული მნიშვნელობის მოხსენებებით გამოვიდნენ ა. ნიკოლაიშვილი („ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმვა აღდგენითი მშენებლობის დროს"), ი. ბეთანელი („შენობათა დანგრევის ხასიათი და მათი აღდგენის მეთოდები"), პროფესორი ვ. გნედოვსკი („გზებისა და ხიდების ნგრევის ხასიათი და მათი აღდგენის მეთოდები"), მ. სიმონოვი („ადგილობრივ მასალათა და კონსტრუქციათა გამოყენების გამოცდილება და მათი გამოყენება ასაღდგენ რაიონთა მშენებლობაში"), პროფესორი ლ. დიასამიძე („ომისაგან დაზარალებულ რაიონებში კომუნალური მეურნეობის ობიექტების ნგრევის ხასიათი და მათი აღდგენის მეთოდები").

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა საზოგადოების, ბაქოს და საქართველოს ქალაქების არქიტექტორთა წარმომადგენლები, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სპეციალისტები — არქიტექტორები, ინჟინრები, მხატვრები და მოქანდაკეები.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი— „ჩემი მამული"

სახელგამმა გამოსცა პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული „ჩემი მამული". კრებულში მოთავსებულია ლექსები პოეტის წიგნებიდან: „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", „აქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს გასასვენებლად", „შემოდგომის დღიური", „საშინაო რვეული", და პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე". წიგნში სულ მოთავსებულია 124 ლექსი, მათ შორის ლექსები სამამულო ომზე.

სიმონ ჩიქოვანის „ჩემი მამული" შეიცავს 208 გვერდს და ღირს 35 მანეთი. კრებულის რედაქტორია ი. აბაშიძე.

გრიგოლ ცეცხლაძის „ახალი ლექსები"

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა გრიგოლ ცეცხლაძის „ახალი ლექსები". კრებულში, რომელიც 54 გვერდს შეიცავს, მოთავსებულია 20 ლექსი. წიგნის რედაქტორია დ. ბენაშვილი.

მოქმედი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, სურათზე: მეტყვიამფრქვეველთა გუნდი— უფროსი წითელფლოტელი პ. ბაჟენოვი და მეტყვიამფრქვეველი ვ. პავლოვი ესვრიან მოწინააღმდეგეს. ფოტო „კომუნისტის" სპეც. კორ. ვლ. გინზბურგისა

ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია

ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციამ მორიგ მეექვსე სხდომაზე მოისმინა მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების და ზოოჰიგიენის საკითხებზე.

კამათში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ქომეთიანმა, დოცენტმა პ. გეგენავამ, დოცენტმა ლ. ლიაძემ, მიწსახკომის უფროსმა სპეციალისტმა იოშკევიჩმა და სხვ. აღნიშნეს, რომ დოცენტ ს. ერქომაიშვილის მიერ წარმოებული ცდები ტუნგოს კოპტონის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საკვებად გამოყენების დარგში აქტუალური საკითხია საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ცხოველთა საკვები ბაზის გაფართოებისათვის.

პრაქტიკული მნიშვნელობისა და ინტერესის მქონედ აღიარებულ იქნა დოცენტ მ. შენგელიას მოხსენება ცხოველთა საკვებში ზოგიერთი ნივთიერების განსაზღვრის ახალი მეთოდისა და ასისტენტ ქ. გოჩიტაშვილის მოხსენება აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად საკვებ საშუალებათა ქიმიური შემადგენლობისა და ყუათიანობის შესახებ.

კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე მოსმენილ იქნა ეპიზოოტოლოგიის კათედრის ოთხ მოხსენება. ინტერესით იქნა მოსმენილი დოცენტ ვ. შულიმოვას და ასისტენტ ბ. ფარცვანიას მოხსენებები დაავადება „ხუთილის" შესახებ.

ამავე სხდომაზე საინტერესო მასალები წარმოადგინა დოცენტმა ი. გიორგაძემ ზოგიერთი მიკრობის წინააღმდეგ ბაქტერიოფაგის გამოყენების შესახებ.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობამ ნათელჰყო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგთა და მეცნიერ მუშაკთა ნაყოფიერი მუშაობა დიდი სამამულო ომის წლებში.

კარგი ინიციატივა

თბილისის ბერიას რაიონული საბჭოს აღმასკომში სისტემატურად ღებულობდნენ მოსახლეობიდან სიგნალებს იმის შესახებ, რომ რაიონის ზოგ ქუჩაში, მოედანზე და ეზოში უსუფთაობა იყო. რაისაბჭოს აღმასკომმა ამ სიგნალებს ყურადღება მიაქცია და შეამოწმა მთელი რიგი ეზოების მდგომარეობა.

კოჯრის ქ. № 7 მდებარე სახლის ეზოში აღმოჩნდა: მონგრეული ჭიშკარი, დაზიანებული კანალიზაცია, სახლის ზოგი კედელიც დაზიანებული იყო, სახურავი ბევრ ადგილას შეკეთებას მოითხოვდა, ეზოში დაგროვილი იყო ნაგავი და ა. შ. იქვე მოიწვიეს მობინადრეთა საერთო კრება და გადასწყვიტეს მოეწყოთ შაბათობა ეზოს წესრიგში მოსაყვანად. 21 მაისს აქ მოეწყო შაბათობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა მობინადრემ. ადგილობრივ აღმოჩნდნენ ხელოსნები, რომლებმაც შეაკეთეს სახურავი, წესრიგში მოიყვანეს კანალიზაცია. სხვებმა ეზო დაასუფთავეს. აღმოჩნდნენ დურგლები, რომლებმაც ჭიშკარი შეაკეთეს, კალატოზებმა დაზიანებული კედლები გაამაგრეს.

ახლა ბერიას რაიონში ხშირად ტარდება ასეთი შაბათობები და მობინადრეებს საკუთარი საშუალებებითა და რესურსებით წესრიგში მოჰყავთ სახლები და ეზოები.

საჭიროა ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე ამხ. ა. ჩიტაიშვილი) გამოცდილებით ისარგებლონ სხვა რაიონებშიც.

გ. გეგუთელი

თეატრებში

30 ივნისს: სახელმწიფო ოპერა—„დონ-კიხოტი". რუსთაველის სახელობის—„კრწანისის გმირები". მარჯანიშვილის სახელობის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". გრიბოედოვის სახელობის — „საგანგებო კანონი". სომხური—„დავით ბეგ". ახუნდოვის სახელობის — „მაშდი იბად". თოჯინების—ქართული—„წკაპა".

კინოებში

30 ივნისს: რუსთაველის სახელობის — „ჩრდილოეთის ვარსკვლავი". ოქტომბერი — „საბჭოთა სამშობლოსათვის". დამკვრელი — „ვალსის მელოდიები". სპარტაკი—„მხიარული ახალგაზრდობა". კომკავშირელი — „უმზითვო პატარძალი". ლუქსემბურგის სახელობის —„ბრძოლა რუსეთისათვის". 26 კომისრის სახელობის—„დავით ბეგ".

ვ. ი. ჩხაიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რიონჰესის მთავარი ინჟინერი ვასილ იულონის-ძე ჩხაიძე.

ამხ. ვ. ჩხაიძე უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1932 წლიდან მუშაობდა რიონჰესში, ჯერ მშენებლობაზე, შემდეგ საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელად. 1938 წლიდან იგი ინიშნება რიონჰესის მთავარი ინჟინრის მოადგილედ, 1941 წლიდან კი მთავარ ინჟინრად.

მცოდნე, ენერგიული, დაუღალავი მუშაკი და გულისხმიერი ამხანაგი—ასეთი იყო ამხანაგი ვასო. მას ეკუთვნის მთელი რიგი რაციონალური წინადადებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს სადგურის მუშაობის რეჟიმის და ექსპლოატაციის გაუმჯობესებას. ამ წინადადებათა განხორციელება ყოველწლიურად დამატებით გვაძლევს ასეულ-ათასობით კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

სამამულო ომის დღეებში რიონჰესის კოლექტივი გადაჭარბებით და მაღალხარისხოვანი მაჩვენებლებით ასრულებს გეგმას. სადგურმა რამდენჯერმე გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატისა და საკავშირო პროფსაბჭოს ჯილდო. სადგურის ამ მიღწევებში ამხ. ვ. ჩხაიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, ნიჭიერი საბჭოთა ინჟინრის ამხ. ვასო ჩხაიძის დაკარგვა მძიმე დანაკლისია რიონჰესის კოლექტივისა და საქართველოს ენერგეტიკული სისტემისათვის. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ამხანაგებისა და მეგობრებისათვის.

ვ. გუგუა, ბ. ლომიძე, ა. მაღრაძე, ვ. დევიძე, ბ. მხეიძე, მ. თავბერიძე, კ. გაგნიძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. გოგოლაძე, ი. ასრიევი, ა. ბახტაძე, ი. მამალაძე, გ. ბულაშვილი, ა. ხეთაგური, დ. ჩხეიძე, გ. დოლიძე, მ. კუპრაშვილი, ი. კანკავა, ლ. ასათიანი, ი. კემულარია, გ. თხინვალელი, გ. თურქია, ა. თოდაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1944-45 სასწავლო წლისათვის მიღების წესები

1. მიღება სწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1) მემინდვრეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა აგრონომი), 2) მებაღეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტებზე (სპეციალობა აგრონომი), 3) სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტზე (სპეციალობა აგრონომი), 4) მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე (სპეციალობა აგრონომი), 5) მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა აგრონომი), 6) სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე (სპეციალობა ინჟინერი-მეტყევე), 7) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე (სპეციალობა სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი), 8) ტექნოლოგიური ფაკულტეტის განყოფილებაზე (სპეციალობა ინჟინერ-ტექნოლოგი); ა) ყურძნის, ხილის და ბოსტნეულის პროდუქტთა გადამუშავების განყოფილებაზე, ბ) ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა პროდუქტების ტექნოლოგიის განყოფილებებზე.

უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დამთავრების წლის ჩათვლით (ე. ი. 1942-43 სასწავლო წლებში), აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ტექნიკუმი დაამთავრეს ფრიადზე და ჩარიცხული არიან გამოშვების 5 პროცენტში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და თან დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოგრაფიული სურათი 3X4 ს. ზომისა, გადაღებული უქუდოდ), დ) პასპორტი (წარადგენს პირადად), ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

ინსტიტუტში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, დახურული სასადილოთი და მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით. ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, მარის ქ. № 33, ტელეფონი № 3-06-44. ცნობების და კონსულტაციების მიღება შეიძლება ყოველდღე 10-დან დღის 5 საათამდე და საღამოს 8-დან 10 საათამდე (მეორე სართულზე, ოთახი № 246), გარდა კვირა დღეებისა.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის
დირექტორი [illegible] **იაკობაშვილი.**

მეუღლე მარიამ, შვილი ედიშერ იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 9 ს. გამოსვენება 2/VII, 2 ს. სტომატოლოგიური ინსტიტუტის შენობიდან, კრილოვის, 2.

თამარ კახიანი შვილებით, სიძით იუწყება სამედიცინო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტ **ბესიკო იმნაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/VII, ბრძოლის, 13.

მეუღლე ელენე, დისწული თამარ გელაშვილი ქმრით იუწყებიან **დავით დიმიტრის-ძე პეტრიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 2/VII, 4 ს. საბჭოს, 57.

ცოლი კატო, ძმები მეტი, ანთიმოზ, და ნინო, სიძე ე. ედიშრაშვილი იუწყებიან **პავლე ვასილის-ძე ბატაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VI, 6½ ს. ზარის, 27-ა.

ცოლი ეკატერინე, შვილიშვილები ვაჟა, მარინა, გივი, დები, ძმები, სიდედრი იუწყებიან, რომ 2/VII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **გიორგი კაპანაძის** პანაშვიდი.

მამა გიორგი, დები თამარ, ეთერ, ძმა მიშიკო, მამიდა, ბიძა იუწყებიან **ვალიკო ქიქინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VI, 1/VII, ფიროსმანის, 28. გამოსვენება 2/VII, 4 ს.

მშობლები ოლიმპიადა, ვლადიმერ, და ნადია, ძმები აკაკი, ვახტანგ, ირაკლი, რძალი მარგო იუწყებიან III კურსის სტუდენტ **გიორგი ურუშაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ეკატერინე, დიმიტრი, ბებია ელისაბედ, დეიდები ნატალია, ოლია, შურა იუწყებიან **გიგლა (ბიჭუნა) ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო იუწყება თავისი წევრის, ფიზიკის კათედრის გამგის პროფესორ **დავით ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალებას.

დედა ლოლო ქელბაქიანი-ლოლობერიძისა ქმარ-შვილით, ბებია აგრაფინა ფიალკოვსკაია იუწყებიან, რომ 2/VII, 2 ს. კალინინის, 86 დანიშნულია **ამირან ყიფიანის** პანაშვიდი.

ქიქიკო და თამარ ვაჭარაძეები შვილებით იუწყებიან თამარ გოდერიძის დედის **მარიამ გოდერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/VII, 7 ს. ენგელსის, 34.

ქეთო, აკაკი, იონა, აფრასიონ, ივანე ტუსკიები იუწყებიან ინჟინერ **ვასილ ჩხაიძის** გარდაცვალებას.

დაკარგულია ბერიას სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების საბლანკო შტამპი. ჩ. გ. 98

რედაქციის მისამართი თბილისი: ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სადივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 200 უე 00299